პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ერთეული 2 მანეთი

ᲛᲝᲚᲐᲛᲒᲔ

შაბათი, ივნისის 4. 1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 8 ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ. № 8

რედაქციის მისამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ეკანგულოვის ქ. № 1. (ოთო—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6-90.

სარედაქციო საქმეებზედ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე—საღამოს 5-დან 7 საათამდე.

რედაქციისაგან

„ᲛᲝᲚᲐᲛᲒᲔ“-ᲨᲘ ᲒᲐᲮᲜᲘᲚᲘᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ ᲠᲔᲕᲙᲝᲛᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ. ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲒᲐᲡᲪᲔᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 19

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

სახელმწიფო ბანკის სასარგებლოდ თამასუქებისა და სხვა უდავო ვალდებულებათა განადგების შესახებ.

1. სათამასუქო ვადათა მსვლელობა, დაწესებული ყოფილ მთავრობის კანონებით იმ პირთა სასარგებლოდ, რომელთაც ვალი აქვთ აღებული თამასუქებისა და სხვა უდავო ვალდებულებათა საბუთებით, შეჩერებულ იქნეს ა. წ. ივნისის 20 დან.

2. მიეცეს უფლება საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო ბანკს ადმინისტრატიული წესით გაანადგოს ყველა ის თამასუქები და ვალდებულებანი, რომელიც კი მას ხელთა აქვს. ამავე წესით უნდა იქნეს განადგებული აგრეთვე კერძო ბანკების ყველა თამასუქები და ვალდებულებანი.

3. სახელმწიფო ბანკს უფლება ეძლევა დამოუკიდებლად (სასამართლოს ორგანოების გარეშე), თამასუქებითა და სხვა უდავო ვალდებულებათა საბუთებით გაცემული სესხის დასაფარავად გადარიცხოს ბანკის სასარგებლოდ ყველა თანხა, რომელიც მოვალეს სახელდახელო ანგარიშზე ირიცხება

შენიშვნა. ყოველ მოვალეს, რომელიც სახელმწიფო ბანკის მიერ თანხების გადარიცხვას უკანონოთ მიიჩნევს, უფლება ეძლევა საჩივარი აღძრას სასამართლოში.

4. სასამართლოს ადმასრულებელ და ადმინისტრატიული ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან სახელმწიფო ბანკის ყველა განკარგულება ზემოხსენებულ ვალდებულებათა განადგების შესახებ სისრულეში მოიყვანონ.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ნაზარეტიანი.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მაისის 24-ს. თბილისი-სასახლე.

ეროვნული

ბრძანება № 55

ს. ს. ს. რევოლიუციონური კომიტეტისა.

1. ს. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილების თანახმად ყველა ბეითალ ექიმს და ფერშალს, რომელიც სცხოვრობს ქ. თფილისში, მიუხედავათ იმისა, იმყოფება იგი სახელმწიფო, საზოგადო ან კერძო სამსახურში, თუ უსამსახუროთ არის, წინადადება ეძლევა ამ ბრძანების გამოქვეყნების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში სარეგისტრაციოთ გამოცხადდეს დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე, მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო სასანიტარო განყოფილებაში (თფილისი, კობის ქ. სახლი № 9).

2. ბეითალი ექიმები და ფერშლები, რომელნიც ცხოვრობენ თფილისის, ბორჩალოსი, თელავისა, თიანეთისა დუშეთისა, გორისა, ახალციხისა, ახალქალაქისა, ქუთაისისა, შორაპნისა, ოზურგეთისა. სენაკისა, ზუგდიდისა, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში, გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ ადგილობრივ რევკომებში.

შენიშვნა. რეგისტრაციის დრო ზემოხსენებულ მაზრებში განსაზღვრულ იქნება ადგილობრივი მაზრის რევკომების მიერ ამ ბრძანების მიღების შემდეგ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

31 მაისი 1921 წ.
თბილისი—სასახლე.

ბრძანება № 56.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

ფინანსთა სახალხო კომისარის ამხ. ნაზარეტიანის სხვაგან წასვლის გამო, ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილეთ დროებით ინიშნება ამხ. მალაქია ტოროშელიძე, რომელსაც წინადადება ეძლევა დღეიდანვე შეუდგეს ფინანსთა კომისრის მოადგილის მოვალეობის ასრულებას.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **კვირკველია.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მაისის 31.
ტფილისი—სასახლე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

ბრძანება № 14

მილიციის მთავარ სამმართველოსადმი

§ 2. სამმართველოში და კანცელარიებში უნდა სწარმოებდეს მუდმივი ენერგიული მუშაობა ყველა მოსამსახურე უნდა მუშაობდეს გულმოდგინეთ და თავგამოდებით მთელი იმ დროის განმავლობაში, რომელიც დაწესებულია მუშაობისდა მეცადინეობისათვის და ერთს წუთსაც არ უნდა კარგავდეს უსაქმობაში და კერძო ლაპარაკში., მხოლოდ ამ პირობის დაცვით შეიძლება თვითეულმა დაწესებულებამ სასურველად შეასრულოს თავისი დანიშნულება; ამიტომ ვავალებ ჩემდამი რწმუნებულ მილიციის ყველა სამმართველოსა და კანცელარიის უფროსებს სასტიკი თვალყური ადევნონ, რომ მუშაობისთვის დანიშნულ დროს სამუშაო ოთახებში არ დაიარებოდნენ კერძო და უსაქმო პირები და მით არ უშლიდნენ ხელს მუშაობაში მათმა მოხელეებს.

მთავარ მილიციის უფროსი **რატიშვილი.**

პოლიტიკური კომისარი **ტრაპაიძე.**

12 მაისი 1921 წ. ქ. თბილისი.

ინსტრუქცია.

თბილისის ცენტრალურ საბინაო განყოფილებას.

თბილისის ცენტრალურ საბინაო განყოფილების მუშაობას ბინების შევსების და განაწილების დროს საფუძვლათ უნდა დაედოს შემდეგი დებულებანი:

I.

§ 1. ქ. თბილისის საბინაო განყოფილების სათავეში სდგას ქალაქის კომუნალურ განყოფილებასთან არსებული ცენტრალური საბინაო განყოფილება. ეს უკანასკნელი ერთად ერთი ორგანოა, რომელიც განაგებს ბინების შევსებისა და და განაწილების საქმეს და, საერთოდ, აწარმოებს საბჭოთა საბინაო პოლიტიკის გატარებას ცხოვრებაში.

§ 2. ყველა დაწესებულება და თანამდებობის პირი, რომელიც პრაქტიკულად აწარმოებს საბინაო საქმეს, იღებს განკარგულებებს და ინსტრუქციებს ცენტრალურ საბინაო განყოფილებიდან.

§ 3. ბინის შევსება, მოქალაქის ბინიდან გადასახლება ან ჩასახლება შეიძლება მხოლოდ ცენტრალურ საბინაო განყოფილების დასტურით.

§ 4. ცენტრალურ საბინაო განყოფილების სათავეში სდგას კოლეგია შვიდი პირისაგან, რომელთა შორის შედის თავმჯდომარე, დანიშნული ქალაქის რევკომის მიერ; წევრები: ქალაქის რევკომიდან ორი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოდან ორი და სამხედრო უწყებიდან ორი.

§ 5. წევრთა შორის მუშაობის განაწილება და მისი გეგმის შემუშავება ევალება თვით კოლეგიას; ყოველი წევრი თავის მოქმედებაში პასუხისმგებელია მის წინაშე.

კოლეგიის წევრთა განკარგულება შეიძლება შეჩერებულ იქნეს თავმჯდომარის მიერ.

§ 6. კოლეგიის წევრთა შორის მუშაობა ნაწილდება შემდეგ ნაირად;

ა) თავმჯდომარის მოვალეობას შეადგენს საერთოდ ხელმძღვანელობა საბინაო განყოფილების მოწესრიგების საქმეში, ქვე-განყოფილებათა დაარსება, მეთვალყურეობა ხელქვევით მყოფ თანამდებობის პირთა მოქმედებაში, ორდერების გაცემა და სხვა.

ბ) პირველი წევრი განაგებს აღრიცხვა-განწილების ქვე-განყოფილებას, აწარმოებს სტატისტიკასა და ინფორმაციას.

გ) მეორე წევრი განაგებს სამუნიციპალურო სახლებს.

დ) მესამე წევრი განაგებს საინსტრუქტორო და საადმინისტრატიულო ნაწილებს და საჩივართა ბიუროს.

ე) მეოთხე წევრი განაგებს ავეჯეულობის სექციას, რომლის მოვალეობას შეადგენს სხვა და სხვა საწყობებში ავეჯეულობის თავმოყრა და მათი დაწესებულებათა და მუშათა შორის განაწილება.

ვ) მეხუთე და მეექვსე წევრს (სამხედრო მუწყების წარმომადგენელნი) ევალება სამხედრო ნაწილებისა და სამხედრო დაწესებულებათა მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

II.

§ 7. ცენტრალურ საბინაო განყოფილებას ევალება:

ა) საცხოვრებელ არეს შემუშავება ბინების შევსებისა და მოქალაქეთა ჩასახლების დროს ხელმძღვანელოთ; სარეკვიზიციო სახლების ტექნიკური მდგომარეობის და ოთახების ხარისხისა და რიცხვის გამოკვლევა.

ბ) უპატრონო ქონებათა გამგეობა და მათი მოვლა-პატრონობა, რომლის გამო სახლების კომიტეტები თავის პასუხის მგებლობის ქვეშ ვალდებულნი არიან მიაწოდონ საბინაო განყოფილებას ცნობები იმ სახლების შესახებ, რომელთა პატრონები არ ცხადდებიან ან უარს ამბობენ სახლის მოვლაზე; ამისთანა სახლები უნდა გადარიცხული იქნეს საბინაო განყოფილების განკარგულებაში.

გ) თუ ჩასახლებულს ახალ ბინაზე, დახვდება რაიმე ავეჯეულობა, მას ამ ავეჯეულობის გადატანის უფლება არ აქვს სხვა ბინაზე; თუ ავეჯეულობა მიიღო მან საბინაო განყოფილებიდან დროებით სახმარებლათ, მისი გადატანა შეუძლია მხოლოდ საბინაო განყოფილების ნებართვით. წინააღმღდეგ შემთხვევაში მდგმურის გარდა, ამ დებულების დარღვევისათვის სასტიკ პასუხს აგებს სახლის კომიტეტი, თუ უკანასკნელმა ოცდა ოთხი საათის განმავლობაში არ განუცხადა საბინაო განყოფილებას ბარგის გატაცება.

შენიშვნა: იმ ავეჯეულობის სიის დედანი, რომელიც მდგმურს მიეცემა, ინახება ავეჯეულობის სექციაში, მხოლოდ ერთი ასლი მიეცემა მდგმურს და მეორე კი სახლის კომიტეტს.

დ) მუშათა ბინების აღრიცხვა: მათი ზომის, სანიტარული და ტექნიკური მდგომარეობის აღნიშვნა: აგრეთვე იმ სახლების და ბინების გამოკვლევა, სადაც უნდა იქნეს ჩასახლებული მუშები.

ე) დაწესებულებათათვის სახლების აღრიცხვა.

ვ) უბნების საბინაო ქვე განყოფილებათა სისტემატიური კონტროლი და მათთვის საჭირო ინსტრუქციების შემუშავება.

ზ) ცენტრალურ საბინაო განყოფილების აგენტებისა და, საერთოდ, მისი ფანამშრომელთა უკანონო მოქმედების შესახებ საჩივრების მიღება და საჩქაროდ განხილვა.

III.

§ 8. უბნების საბინაო ქვე-განყოფილებათა ორგანიზაცია ეევალება ცენტრალურ საბინაო განყოფილებას, რომლის გეგმების, დირექტივებისა და დადგენილების ტექნიკური შესრულება ევალება მათ.

§ 9. საბინაო ქვე-უბანი, რომელზედაც დაყოფილი იქნება თბილისი, უნდა ეთანასწორებოდეს მის ადმინისტრატიულ დაყოფას, გარდა პირველ და მეცამეტე რაიონებისა, რომელიც გაერთიანებულია.

§ 10. უბნების საბინაო განყოფილებებს ევალება:

ა) ცენტრალურ საბინაო განყოფილების განკარგულების და ყოველ კერძო შემთხვევაში სპეციალურ ორდერით ბინებს დათვალიერება და გამოკვლევა.

ბ) ბინებში ყოველივე ცვლილების შესახებ, თანახმად სახლის კომიტეტის ცნობისა, მოხსნების წარდგენა ცენტრალურ საბინაო განყოფილებაში.

გ) მეთვალყურეობა სახლების კომიტეტებზე, რომ ისინი თავის დროზე იძლეოდენ უტყუარ ცნობებს მდგმურთა რაოდენობის და ბინებში მომხდარ ცვლილებების შესახებ.

დ) საბინაო განყოფილების კონკრეტიული ჩვენებს თანახმად ტექნიკური და პრაკტიკული შესრულება გადასახლების, ჩასახლებისა და შევსების.

§ 11. საუბნო-საბინაო ქვე-განყოფილებები ანაწილებენ მუშაობას ისე, რომ ყოველივე აგენტს ჰქონდეს თავის გამგებლობაში ისეთი უბანი, რომ მას ძალა შესწევდეს შეადგინოს თავისთვის სწორი, სრული და უშუალო წარმოდგენა ყოველ პრაკტიკულ კითხვების შესახებ, რომელიც სწარმოებს მის უბანში.

§ 12. ჩასახლების და გადასახლების და საერთოდ ბინების შევსების შესახებ ცენტრალური საბინაო განყოფილებიდან გაცემული ორდერი უნდა იქნეს ხელმოწერილი თავმჯდომარისა ან მის მოადგილის მიერ და ბეჭედ დასმული.

§ 13. ცენტრალურ საბინაო განყოფილების ორდერით მოთხოვნილებანი უნდა იქნეს მოყვანილი სისრულეში ბინების საბინაო ქვე-განყოფილებათა გამგეობისა, ან მათ მოადგილეთა მიერ, მათი პასუხის მგებლობის ქვეშ,

§ 14. უბნის ქვე-განყოფილების წარმომადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი მიდის ადგილობრივ და უდგენს დაინტერესებულ პირთ ორდერს, მილიციის და სახლის კომიტეტის წარმომადგენლის თანადასწრებით: თუ სახლის კომიტეტის წარმომადგენელი არ იქნება, იმ შემთხვევში ესწრება ორი მოწმე, ყველა აღნიშნულ შემთხვევაში უნდა შესდგეს აქტი, რომლის პირი უნდა გადაეცეს სახლის კომიტეტს.

IV

§ 15. აკრძალულია ქალაქის საზღვრებში ცენტრალურ საბინაო განყოფილების ნება დაურთველად საცხოვრებელი ან სავაჭრო შენობის დაკავება.

პასუხის გებაში იქნებიან მიცემული ის სახლის კომიტეტები, რომელნიც თავისუფალ ბინებში მდგმურებს შეუშვებენ ორდერით.

ჩამოსული მოქალაქე მდგმურების რიცხვში არ ჩაითვლება.

§ 16. ბინის მიცემა ეკრძალება იმ ჩამოსულ მოქალაქეთა ან უცხო ქვეშევრდომთათვის, რომელთაც არ აქვთ რაიმე განსაზღვრული საქმე და ამასთანავე არ არიან გატარებული ქალაქის შინაგან საქმეთა სამართველოსთან დაწესებულ სათანადო სიაში.

§ 17. ბინა ან ოთახი უნდა მიეცეს მხოლოდ უბინაო მოქალაქეებს, საბჭოთა მოსამსახურებს და აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც ჩამოერთმევათ ბინა რეკვიზიციის წესით, ცენტრალურ საბინაო განყოფილების დადგენილების თანახმად.

§ 18. ეკრძალება ბინების და ოთახების მიღება იმ მოქალაქეს, რომელსაც აქვს ბინა, მაგრამ მაინც სურს გადავიდეს ამა თუ იმ რაიონში თავის სამსახურის მახლობლად.

§ 19. ბინების და ოთახების რეკვიზიციისა და განაწილების დროს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, რომ ერთ სულზე მოდიოდეს ჰაერი არა ნაკლებ 5 კუბ. საჟენისა.

§ 20. ერთ და იგივე ოთახში შეიძლება იქნენ ჩასახლებულნი, ნორმის მიხედვით, სხვა ოჯახის წევრნი, ურთიერთ შორის თანხმობით.

§ 21. აკრძალულია იმ ოთახების რეკვიზიცია, რომელთა სარგებლობა აუცილებელია საპროფესიონალურო ან სამსახურის საჭიროების გამო და რომელთა ჩამორთმევით ესპობა მათ მოვალეობის ასრულების საშუალება.

ასეთ პირებათ ითვლებიან:

ა) პრაქტიკის მქონე ექიმები, და აგრეთვე კბილის ექიმები, რომელთაც ნება აქვთ იქონიონ დაწესებულ ნორმის გარდა კაბინეტი და მისაღები ოთახი.

ბ) საბჭოთა სამსახურში მყოფნი პროფესორები, ინჟინრები, მასწავლებლები და აგრეთვე სხვა პასუხის-მგებლო თანამდებობის პირნი, პარტიული მომუშავენი, სამხედრო უწყების საპასუხის-მგებლო თანამშრომელნი და კულტურის და ხელოვნების გამოჩენილნი მოღვაწენი, რომელთაც ნება აქვთ იქონიონ სამუშაო ოთახი, თანახმად დაწესებულების უფროსის შუამდგომლობისა.

§ 22. იმ შემთხვევაში თუ ერთი ოთახის რეკვიზიციის გამო, შეუძლებელი ხდება მეორეთი სარგებლობა ასეთი ოთახები თავისუფლდება რეკვიზიციდან.

§ 23. ბინების და სახლების რეკვიზიციის დროს სახლის პატრონების ბინა შეიძლება შევსებულ იქნეს საზოგადო წესით, მაგრამ ისინი დატოვებულ უნდა იქნენ თავის სახლში.

§ 24. რეკვიზიციიდან თავისუფალია ქალაქიდან დროებით წასულ მასწავლებელთა და მოსწავლეთა ბინები და ოთახები, რომელნიც წასული არიან ქალაქიდან სამსახურის გამო ან სააგარაკოთ.

§ 25. საბჭოთა საზოგადო დაწესებულებათ ბინა ეძლევათ თანახმად დაწესებულებათა უფროსის შუამდგომლობისა.

§ 26. ჯარის ნაწილებს, სამხედრო დაწესებულებათ და მათ თანამშრომელთ, რომელთაც კერძო ბინაზე ცხოვრების ნება აქვთ, ეძლევათ ბინა და ოთახები, გარნიზონის უფროსის შუამდგომლობის თანახმად.

ჯარის ნაწილების თანამშრომელთათვის ბინის მიცემის დროს მათი სია უნდა იქნეს შემოწმებული გარნიზონის უფროსის მიერ.

§ 27. სამხედრო დაწესებულებათა თანამშრომელნი, რომელნიც დროებით ჩამოდიან ან სცხოვრობენ ქალაქში, შეიძლება იქნენ განაწილებულნი ოთახებში არა დაწესებულ ნორმით, არამედ 3—5 კაცამდე ერთ დიდ ოთახში.

§ 28. ამ ინსტრუქციის გამოქვეყნებისთანავე ყველა საბჭოთა სახლები, ცენტრალურ დაწესებულებათა სახლების გარდა, გადადის ცენტრალურ საბინაო განყოფილების განკარგულებაში; წინადადება ეძლევა უკანასკნელს მოახდინოს საბჭოთა სახლების ორგანიზაცია და რეორგანიზაცია.

§ 29. წინადადება ეძლევა ცენტრალურ საბინაო განყოფილებას გადაიყვანოს საცხოვრებელ ბინებიდან პატარა დაწესებულებები სავაჭრო სადგომებში და ის სახლები გამოიყენოს საცხოვრებელ ბინებად.

§ 30. წინადადება ეძლევა საბინაო განყოფილებას დაუყონებლივ მოახდინოს ყველა სახლების კომიტეტების ახალი არჩევნები, რათა მათში მონაწილეობა მიიღონ მშრომელთა ელემენტებმაც

§ 31. ყოველნაირი მანდატები და შეუვალობის მოწმობები, რომელიც გაცემულია საბინაო განყოფილების ნებადაურთველად, გაუქმებულად ჩაითვალოს.

§ 32. ცენტრალურ საბინაო განყოფილებასთან იქნეს დაარსებული ცნობების მისაღები მაგიდა, და მის საშუალებით მთხოვნელები იგზავნებოდნენ სათანადო ქვე-განყოფილებებსა და ქვერაიონებში.

შენიშვნა: ეს ინსტრუქცია შედგენილია თბილისის საბინაო განყოფილებისათვის, მაგრამ ამით ხელმძღვანელობა ევალება სხვა ქალაქებში (ბათომი, ქუთაისი, ფოთი) არსებულ საბინაო განყოფილებასაც ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **კვირკელია.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კომუნალურ განყოფილების გამგე **ნანეიშვილი.**

დამტკიცებულია საქართველოს რევკომის მიერ 1921 13 მაის.

გრძანება

I

გორის მაზრაში, ადგილობრივ როგორც ჩემ მიერ მიღებული ცნობებიდან სჩანს სოფლებში დაძრწიან კერძო პირები და მთელი ჯგუფები დაეძებენ შინაური საქონელს და სხვა ქონებას, რომელიც დაიტაცეს მენშევიკების ბანდებმა, სამხრეთ ოსეთის მკხოვრებთა შეიარაღებულ აჯანყების დროს რაკ გამოწვეულ იყო მენშევიკების ძალადურ რეჟიმით; სიარულის გარდა ეს პირები და ჯგუფები აწარმოებენ თვისინებით ქონების, შინაური საქონლის და სხ. ჩამორთმევას, აგრეთვე ჩხრეკასა და დატუსაღებას, დარაზმული პროლეტარიატის და გლეხობის, საბჭოთა მთავრობას, არ შეუძლია დაუშვას არავითარი თვითნება მოქმედება კერძო პირებისა დამნაშავეთა დასასჯელათ მთავრობას აქვს საკმაოდ კარგი აპარატი, რომლის ორგანოებს უნდა მიმართონ შევიწროების შემთხვევის და სამართლიანობის ძიების დროს.

ამიტომ წინადადება ეძლევა ყველას, დაუყონებლივ შესწყვიტონ თვითნება სიარული სოფლად და სახლებში და ჩხრეკა დაპატიმრება. გატაცებული ქონების ყოველგვარი საქმის შესახებ უნდა მიმართონ უმეშკეოდ ცხინვალში, ხუთის კომისიას.

II

ხუთის კომისის წევრებს წინადადება ეძლევა, მომჩივანთ არ მისცენ არავითარი ნებართვი ჩხრეკის და ძიების მოსახდენად და თვით კომისიის წევრები უნდა მივიდენ ადგილობრივ და უმეშვეოდ გამოარკვიონ საჩივრის შინაარსი.

III

ამ ბრძანების გამოკვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში წინადადება ეძლევა მცხოვრებთ თავისი ნებით წარუდგინონ დაბა ცხინვალში ხუთთა კომისიას გატაცებული ან სახალხო გვარდიელებიდან თუ მენშევიკების სხვა აგენტებიდან შეძენილი ქონება (საოჯახო ნივთები, საქონელი და სხ.)

IV

ყველა ხელისუფლების ორგანოს ევალება სასტიკად ადევნონ თვალყური ამ ბრძანების ასრულებისათვის.

VI

ამ ბრძანების აუსრულებლობაში დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან რევოლიუციონური დროის კანონების მიხედვით.

საგანგებო სამეულის თავმჯდომარე და შინაგან საქ. სახ. კომისარის მოადგილე: **ხუტულაშვილი**
1921 წ. 28 მისია.

მომარაგების სახალხო კომისარიატი.

დადგენილება

ს. ს. ს. რ. მომარაგების სახალხო კომისარიატისა.

ს. ს. ს. რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილიდან სურსათ-სანოვაგის გამოტანის და გადაზიდვის მოსაწესრიგებლად ს. ს. ს. რ. მომარაგების სახალხო კომისარიატმა დაადგინა:

1. გორის და სილნაღის მაზრებიდან სურსათ სანოვაგის თავისუფლად, უნებართვოდ და ურეგისტრაციოთ გამოტანა შეუძლია ყველას, მხოლოდ არა უმეტეს 3 ფუთისა; 3 ფუთზე მეტის გამოტანა ყველასათვის აკრძალულია.

2. ოზურგეთის მაზრიდან სურსათ სანოვაგის გამოტანა, რამდენიც არ უნდა იყოს, კერძო მყიდველებისათვის, აკრძალულია. ამ მაზრიდან გამოტანა ნებადართულია, 3 ფუთამდე, მხოლოდ ცალკე მუშებისა და მოსამსახურეთათვის, თუ მათ ექ-

ნებათ მოწმობა წარმოების, ან დაწესებულების, ან პროფესიონალური კავშირის, რომ იმყოფებიან სამსახურში. ამას გარდა თუ ისინი გატარებულნი იქ ნებიან რეგისტრაციაში:

ა) მყიდველნი (მუშები და მოსამსახურენ), როცა მათ გამოაქვთ სურსათ სანოვაგე ლანჩხუთის, ჯუმათის, ნიგოეთის, სუფსის და საჯევახოს რაიონიდან, უნდა გატარდენ რეგისტრაციაში ლანჩხუთისა, ჯუმათისა, ნიგოეთისა, სუფსისა და საჯავახოს უპროდკომის სათანადო რწმუნებულთან და მან უნდა მისცეს ბეჭედ დასმული მიწმობა, სათანადო რევკომიდან.

ბ) ნატანების და ქობულეთის რაიონებიდან გამოტანის დროს, მყიდველნი (მუშები და მოსამსახურენი) უნდა იქნენ გატარებულნი რეგისტრაციაში უპროდკომის წარმომადგენელთან და მან უნდა მისცეს ნატანების რევკომის ბეჭედ-დასმული მოწმობა.

3. ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა სხვა, დანარჩენი მაზრიდან და ადგილიდან სურსათ სანოვაგის გამოტანა, ყველასათვის უკლებლივ, სრულიად თავისუფალია განუსაზღვრელი რაოდენობით და არავითარი ნებართვა არაა საჭირო.

მომარაგების სახალხო კომისარის მაგიერ:

ერქომაიშკილი.

საორგანიზაციო სამართველოს უფროსი:

ბ. მელჩარსკი.

დამამზადებელი სამართველოს უფროსი:

ნ. ამირაღლოვი.

25 მაისი 1921 წ.

შრომის სახალხო კომისარიატი.

დადგენილება

ს. ს. ხ. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1. ახალი კანონის გამოცემამდე დაქირავებულ პირთა სოციალურ დაზღვევის შესახებ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რკინის გზის სამართველოსთან არსებულის პენსიო განყოფილება კვლავ დარჩეს.

2. ყოველგვარი ნორმები დახმარებისა, რომელიც შრომის სახალხო კომისარიატის მიერ არის მიღებული დაზღვევის კასის მონაწილეთა და მათ ოჯახის წევრთათვის, გავრცელდეს საქართველოს რკინის გზის მუშა მოსამსახურეებზე.

3. საჭირო თანხა კასის მონაწილეთა დახმარების დასაკმაყოფილებლად და პენსიის მიცემა შრომის სახალხო კომისარიატის დამზღვევ ფონდის შექმნამდე საქართველოს რკინის გზის სამართველოდან გაიცემა.

4. კასის მონაწილეთათვის ყოველგვარი ფულის გაცემა საპენსიო განყოფილების ორდერებით იწარმოებს რკინის გზის სამმართველოს საანგარიშო საფინანსო განყოფილების საშუალებით.

5. ახალი პენსიათა დანიშვნისა, მიმდინარე საქმეთა და ყოველგვარ ამ საკითხებთან დაკავშირებულ საქმეების გადასაწყვეტად შესდგეს კოლეგია სამი პირის შემადგენლობით, ერთს მათგანს შრომის სახალხო კომისარიატი ნიშვნას, რომელიც თავმჯდომარეობას ეწევა, დანარჩენს ორს—რკინის გზის პროფ. კავშირი ირჩევს.

6. კოლეგია მოვალეა ყოველ თავის დადგენილებათა შესახებ პენსიონერთა რიცხვისა, საჭირო ცვლილების არსებულ კანონმდებლობის მიხედვით ხარჯთ-აღრიცხვისა და ანგარიშების შედგენისა, როგორც ფინანსიურისა, ისე სტატისტიკურისა, აცნობოს შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებას და საერთოდ უკანასკნელთან კონტაქტით იმოქმედოს.

შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

შრომის დაცვისა და სოც. დაზღვევის განყოფილების გამგე **ელბაქიანი.**

მაისის 10, 1921 წელი. ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაოფიციალური განეოფილება

შაბათი, ივნისის 4.

კომუნისტურ პარტიის დღევანდელ პოლიტიკურ კურსს სავსებით განმარტავს ორი ძირითადი მოკლენა: 1) ეს გარემოება არის, რომ საბჭოთა რუსეთი ალარავის ეომება, ის იძულებული ალარ არის იარაღით ხელში დაიცვას თავისი არსებობა, ბურჟუაზიულ და კონტრრევოლიუციონურ თეორკვარდიელებს ებრძოლოს სამკვდრო-სასიცოცხლოდ და მეორე ის, რომ იგი, ე. ი. საბჭოთა რუსეთი შემოფარგლულია ირგვლივ ბურჟუაზიულ კაპიტალურ სახელმწიფოებით.

დღემდის მებრძოლი კომუნიზმი ამიერიდან უნდა გადაიქცეს სახელმწიფო აღმშენებლობის მატარებლად. დღეს მან უფრო მტკიცედ, გარკვევით და ხალხისათვის მისაღებ ფორმებში უნდა ჩამოაყალიბოს თავისი დამოკიდებულება და შეხედულება სახელმწიფოს შიგნით კლასთა შორის ურთიერთობისადმი და მეორეს მხრივ მტკიცედ და ნათლად უნდა განმარტოს თავისი დამოკიდებულება მეზობელ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისადმი.

მაშასადამე, კლასთა შორის ურთიერთობის შოგვარება, აი ის მახლობელი გაოცანა, რომელიც იდგა კომუნისტურ პარტიის წინაშე მეათე ყრილობაზედ შინაგან პოლიტიკაში და რომელზედაც ამ ყრილობამ გარკვეული, მარტივი და სამართლიანი პასუხი გასცა.

ეჭვს გარეშეა ახლად დაწყებულ „შვიდობიანობის“ ხანაში კლასთა შორის სრულ „წონასწორობის“ დამყარებას და განმტკიცებას ახლო მომავალში არ უნდა ველოდეთ, რადგანაც სამი წლის უმაგალითო ომმა და შემდეგ ოთხი წლის რევოლიუციამ თითქმის სრულიად მოსპო და მოშალა სახალხო მეურნეობა და გალატაკებამდის მიიყვანა ხალხი. წარმოების მოშლით და სოფლის საქონლით დაკმაყოფილების უქონლობის გამო კეთილი განწყობილების დამყარება სოფელსა და ქალაქს შუა ძნელი საქმე იქნება, მაგრამ ამ ორი ძალის შეკავშირება, რომლებზედაც მთლიად დამყარებულია სახელმწიფოს მარცვა გამგეობა, მაინც შესაძლებელია. ამ გვარი შეთანხმების ძირითად პირობათ უნდა იყოს თავისუფალი გამგებლობა საკუთარის ნაწარმოებით. მეათე ყრილობის დადგენილება სოფლის სამეურნეო ნაწარმოების გაწესრიგების (разверстки)) განსაკუთრებულ გადასახადით შეცვლის შესახებ. საუკეთესო მაჩვენებელია ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა დღევანდელს მომენტში. საბჭოთა ხელისუფლებას მთლად არ შეუძლიან დღეს დააკმაყოფილოს გლეხ-კაცობის მოთხოვნილება, მაგრამ ყველაფერ შესაძლოს კი აკეთებს ამ მიმართულებით. ასეთივე აზრია გატარებული ამხ. ლენინის წერილში, ამიერ კავკასიის პოლიტიკის შესახებ, წვრილ ვაჭრობის და საზოგადოთ წვრილ მეურნეობის და მესაკუთრეობის შესახებ. როდესაც ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ახალი გადასახადის შესახებ გაუგზავნა მიწერილობა ადგილობრივ აღმასრულებულ კომიტეტებს, მან ამ მოწერილობაში აღნიშნა, რომ ეს სასურსათო გადასახადი მამულზე „დროებითი“ გადასახადია და ახლო მომავალში, როდესაც წარმოება საკმრისად მოეწყობა, სახელმწიფო მთლიანად გადაეხდის გლეხკაცს ი ის ღირებულათ, რაც ჩემოერთმევა იმასო.

მუშათა კლასი, კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დაადგა გლეხ-კაცობასთან გულწრფელ და პატიოსან შეთანხმების გზას და შემდეგში როდესაც საბჭოთა ხელის უფლება უფრო განავითარებს შინაურ წარმოებას და სახელმწიფოს გარეშე საქონლის გაცვლა გამოცვლას, იძულებული ალარ იქნება მეტის სიფრთხილით და ხელმომჭირნეობით გაანაწილოს არსებული საქონელი, მაშინ უფრო მეტს თავისუფლებას მისცემს გლეხ-კაცობას თავის საკუთარი ნაწარმოების გამგებლობისას. საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხ-კაცობას თავისუფალი გამგებლობის უფლება მისცა, რადგან ამას ითხოვდა თვით სოფლის მეურნეობის ბუნება და ხასიათი. საბჭოთა ხელის უფლება შორს მჭვრეტელია და მან კარგად იცის, რომ ეკონომიკის კანონებთან ბრძოლა შეუძლებელია. სწორედ ეს რეალიზმი კომუნისტურ პარტიისა თავდებია კეთილ განწყობილებისა გლეხკაცობასა და საბჭოთა ხელისუფლებს შორის. აქამდ ს გლეხკაცობის თავისუფლება მეურნეობის სფეროში შეზღუდული იყო ცხოვრების აუცილებლობით, სურსათ-სანოვაგის ნაკლებობით, სამხედრო მოქმედებით, რევოლიუციის წარმოების საშიშროებით და სხვა. დღეს კი, როდესაც სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია, კონტრ-რევოლიუციონური გიდრა დმმარცხებულია და მაშასადამე, თითქმის ალარ არსებობს ის პირობები, რომელთაც გამოიწვიეს შეზღუდვანი, მეურნეობაში,—უნდა მიეცემწარმოებელს, სოფლის მეურნეობაში იქნება ეს თუ ფაბრიკა-ქარხნებში, მეტი თავისუფლება და კერძო ინიციატივას ფართე სამოქმედო ასპარეზი. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება განმტკიცდეს სოციალური თანამშრომლობის პრინციპი პროლეტარიატისა და გლეხკაცობის შორის. ამ ნიადაგზე დადგა მეათე ყრილობა კომინისტურ პარტიისა, და არა დათმობის საჭიროებით, არამედ ეკონომიური საჭიროების სრულის და საღის შეგნებით შემოიღო განსაზღვრული გადასახადი სოფლის მეურნეობაში აქამდის საბჭოთა ხელისუფლება გლეხკაცობას უტოვებდა მოსავლის იმ ნაწილს, რომელიც მის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებდა და დანარჩენი კი უნდა გადაეცა მას სახელმწიფოსათვის. თავის თავად ცხადია, რომ ამ პირობებში შეუგნებელი გლეხკაცობა არ მოისურვებდა მოეყვანა რაიმე იმაზედ მეტი, რაც მას სჭირდებოდა. მეათე ყრილობის დადგენილებით კი გლეხკაოობას უნდა ჩამოერთვას მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი ნაწარმოებისა,

დანარჩენი კი რჩება სრულ მის განკარგულებაში. წინად გლეხკაცობას აღარფერი რჩებოდა საკონლის შესაძენათ და ამიტომ ის უკიდურეს ნაკლებობას განიცდიდა ფაბრიკულ ნაწარმოებში. დღეს კი გლეხკაცი თუ კი ბევრს მოიყვანს, მცირე ხაწილს სახელმწიფოს აძლევს, დანარჩენი კი ძის საკუთარ მფლობელობაში რჩება. ამგვარად, თუ ის ბევრს პურს მოიყვანს, მას ბევრიც დარჩება საჭირო საკონლის შესაძენათ.

მეათე ყრილობის ეს ნაბიჯი უნდა გავსინჯოთ როგორც კერძო თვითმოქმედების ხელისწყობა და ის მეზღუდვანი სამეურნეო სფეროში, რომელიც არსებობს დღეს, მეათე ყრილობის მეხედულობით — მხოლოდ დროებითი ხასიათისანი არიან და შემდეგში სახელმწიფოსა და გლეხკაცობის ურთიერთობის განმტკიცებაში უფრო ძეტი ადგილი დაეთმობა ეკონომიურ ფაქტორებს. უნდა ძეიქმნას ურთიერთობის ასეთი სისტემა, სადაც ძთავარ მაძოძრავებელ ძალათ იქნება მ მრომელი მასეების თვითმოქმედება. ეს საჭიროა განსაკუთრებით სოფლის წვრილ მეურნეობაში, საცაც ინიციატივას და ძუყაითობას ნამეტანი დიდი მნიძვნელობა აქვს.

დღევანდელს პირობებში პირველი ადგილი უნდა დაეთმოს თვითმოქმედებას და იძულებას უნდა მიმართოს ხელისუფლებამ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ყველგან და ყოველთვის უნდა ვეძიოთ მიზეზები თვითმოქმედების განსავითარებლათ.

საუკეთესო ორგანიზატორად უნდა ჩაითვალოს ის, ვინც მეტს ნდობაა დაიმსახურებს ხალხში, გლეხკაცობის თვითმოქმედებას მაქსიმუმამდის აიყვანს და იძულების საჭიროებას მოსპობს რწმენის განმტკიცებით.

მეათე ყრილობის ყველა საგულისხმიერო დადგენილებას შინაგან პოლიტიკაში საფუძვლად დაედო გლეხკაცობის და პროლეტარიატის შორის ახალი ურთიერთობის დამყარების სურვილი. პარტიულმა ყრილობამ მოგვცა ძირითადი დირექტივები ამ საკითხში. თუ ამ დირექტივებით ვიხელძძღვანელებთ კომუნისტურმა პარტიამ უნდა გადასინჯოს მთელი აგრარული პოლიტიკა, ამისათვის საჭირო იქნება სოფლის შესწავლა, მათი ჯგუფობრივი სულიერი განწყობილობის და მოთხოვნილებათა გათვალისწინება. ყველიზედ უფრთ მავნე იქნება, განსაკუთრებით საქართველოში დღეს ძველი ძეთოდები ძუშაობისა და უფრო დიდი ბოროტება იქნება საერთოდ საქმისათვის საბჭოთა ხელისუფლების მტრების აგიტაცია. თვითეულ შეცდომას, თვითეულ შემცდარ ნაბიჯს მოყვება ისეთი უარყოფილი საგრძნობი შედეგები, რომელთა გამოსწორება შეძდეგ, თუ სრულიად ძნელი არა-მეტად საძნელო იქნება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დაადგა გლეხკაცობასთან საქმიან შეთანხმების გზას და თვითეულმა ხელისუფლების ორგანომ პარტიის თვითეულმა წევრმა უნდა გაატაროს ეს შეთანხმება გლეხკაცობისათვის მისაღებ და სასურველ ფორმებში.

მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა დაიმსახურონ, რათაც არ უნდა—დაუჯდეთ ეს, ხალხის ნდობა, მისი სიყვარული და პატივისცემა. მხოლოდ ამ შემთხვევაში და ამ გზით შეიძლება სოციალისტურ მართვა-გამგეობის განმტკიცება ხალხში და თვით სოციალიზმის გახხორციელება.

სასურსათო გადასახადის შესახებ*)

პარტიულმა ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება, გაბაწერის მაგივრ სასურსათო გადასახადის შემოღების შესახებ, რამაც შეძლეგ სახელმწიფო კანონის სახე მიიღო.

1) დადგენილება კიდევ ერთხელ ახასიათებს კომუნისტური პარტიის ცხოველმყოფელობას, რადგან იგი ლაპარაკობს პარტიის იძ უხარზე, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია აიგარიძი გაუწიოს იმ კლასიურ ძალათ, როძლებიც დღეს იბრძვიან როგორც რუსეთში მიგნით, ისე საეთაშორისო ასპარეზზე.

ამ საკითხის შესახებ პარტიულ ყრილობაზე ამხ. ლენინმა თავის მოხსენებაში სთქვა რომ „განაწერის შეცვლა სასურსათო კადასახადით, აოის ყველაზე უფრო და თავდაპირველად **პოლიტიკური საკითხი რადგან, მისი დედა აზრია მუშათა კლასის გლეხობასთან დამოკიდებულებაო.**

არც ერთ წუთს ჩვენ არ გვავიწყდებოდა და არც მოძავალში უნდა დავიწყოთ, რომ პროლეტარიატის და გლეხობის ეკონომიური თვისება სხვა და სხვაა, ძათი ეკონომიური ინტერესები ერთ და იძავე ნიადაგზე აოაა დამყარებული.

გლეხი-წვრილი მესაკუთრეა, იგი უფრო იხრება განკერძოებული წვრილი მეურნეობისაკენ მას სუოს თავისუფლად გახაგოს თავისი წარმოების ნაყოფი; კოლექტიურ ძეურნეობის წარმოების უპირატესობას განკერძოებულის წინაშე, იგი არ სცხობს იმიტომ, რომ როგორც თეორეტიული პერისპექტივა იგი ძისთვის ბუნდოვანია და პრაქტიკამი კი ჩვენ ეს ვერ დავამტკიცეთ.

პროლეტარიატი-კოლექტივისტურია. მას თავისი შრომის პირობების გავლენით ესძის, რომ განსაზოგადოებრივებული მსხვილი მეურნეობა უფრო სასარგებლოა, ვინემ წვილად დანაწილებული. იგი მეგხებულად იბრძვის ისეთი საზოგადოებასათვის, რომელშიც წარმოებს იაოაღიც და ძისი ნაყოფიც იქნება მთელი საზოგადოების.

მუშათა კლასის და გლეხობის ასეთი თვალსაჩინო ეკონომიური ტენდენციების სხვადასხვაობის დროს, სრულიად გააგებია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, ისე უნდა წარმართოს დღეს თავისი ეკონომიორი პოლიტიკა, რომ გლეხობის, როგორც უმრავლესობის და პროლეტარიატის, რომელიც ახხორციელებს თავის დიქტატურას, ინტერესები იქნეს დაკმაყოფილებული.

მთელი ჩვენი ეკონომიკა უნდა ეყოს მიმარ-

*) იხ. „Комунистка" № 10—11 მარტი—აპრილი. წერ. **პუტილოვსკაიანი.**

თული მთავარი მიზანსაკენ: მოხდეს შეთვისება: გლეხობის ეკონომიური მიზნის ერთის მხრით—მუშების მიზნებთან—მეორეს მხრით, საწარმოო ძალთა განვითარებისათვის.

საერთაშორისო რევოლიუცია იზრდება მაგრამ უფრო ნელის ნაბიჯით, ვინემ ჩვენ გვსურს, და ამიტომ დღეს მთელი ჩვენი შინაური პოლიტიკა უნდა ავაგოთ, ჩვენი საკუთარი ძალების იმედით ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება უნდა დაეყრდნოს უმრავლესობას, ე. ი. მუშებს და გლეხობას. აქედან გამომდინარეობს შეთანხმების საჭიროება. ე. ი. **დათმობა გლეხობისადმი პროლეტარიატის მიერ, დათმობა წვრილი მეურნეობის სოციალიზმის მიერ.**

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გლეხობისადმი დათმობა, ორივე სქესის მუშებმა ისე უნდა გაიგონ როგორც **დათმობა იძულებითი, დათმობა აუცილებელი.**

ხშირად, ახალი დეკრეტის გამოქვეყნებიდან, ბევრი (ჩვენს წრეშიც) ფიქრობს, რომ, განაწერის სისტემა შეცდომა იყო და რომ ხშირი მწარე გაკვეთილის შემდეგ, ჩვენ გადავწყვიტეთ შევცვალოთ იგი სასურსათო გადასახადით.

ეს არაა მართალი. განაწერი არ იყო შეცდომა, იგი თავის დროზე გონიერი აუცილებლობა იყო.

იმ ხანებში, როცა საბჭოთა რუსეთი ამისათვის რომ თავი დაეცვა ყოველის მხრიდან შემოსეული მტრებისაგან, ჰქმნიდა ძლიერ ჯარს, რომელსაც ესაჭირებოდა სასმელი, საჭმელი, სამხედრო სურსათი და მასალა და აუცილებლად საჭირო იყო მუშების კოტაოდენათ მაინც დაკმაყოფილება, გარდა განაწერის სისტემის ე. ი. ძიწათ-მოქმედების მეურნეობის ზედმეტი ნაყოფის განსხვისებისა სხვა გზა არ იყო. განაწერი მთელი მისი სირთულე და სიძნელის მიუხედავად, საშუალებას იძლეოდა (ისიც მცირე საზღვრებში) ჯარის და მუშების გამოსაკვებად. მაგრამ ამასთან ერთად განაწერი გლეხების ინტერესების წინააღმდეგ მიდიოდა და თუ პირობა ცოტათ თუ ბევრად ურიგდებოდა ასეთ პოლიტიკას, მხოლოდ იმიტომ რომ დათმობის მოთხოვნა მუშებისაგან იმ მომენტში, როცა მიწას, გლეხობისავე საკუთრებას, მოელოდა მემამულეთა ხელში გადასვლა იქნებოდა უაზრობა, საკუთარი გლეხობისავე ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება.

დენიკინის, კოლჩაკის, ვრანგელის წინააღმდეგ ბრძოლაში, მუშათა კლასი დაიმარებას იმიტომ პოულობდა გლეხობაში, რომ იგი იცავდა არა მარტო ფაბრიკა-ქარხნებს მყვლეფელ კაპიტალისტებისაგან, არამედ მიწასაც—მემამულეებისაგან.

და დღეს, როდესაც პირველი ხანა სამოქალაქო ომისა დასრულდა, როდესაც მემამულე არ იმუქრება გლეხის მიწას-იპოვის მუშა გლეხობაში დახმარებას, რომ განაგრძოს ისეთივე სასურსათო პოლიტიკა, როგორსაც უწინ აწარმოებდა?

ადვილად მისახვედრია, რომ არა. გლეხი, რომელსაც ართმევდენ ყველაფერს ზედმეტს, რომელსაც უტოვებდენ მშიერ ულუფას, რომელსაც თითქმის არ აძლევდენ ქალაქის მრეწველობის ნაყოფს არაა დაინტერესებული სახნავ-სათეს ადგილის გადიდებაში, და სასოფლო მეურნეობის განმტკიცება გამაგრებაში.

ჩვენ მოწმე ვართ სასოფლო მეურნეობაში, ომიდან დაწყებული და სამოქალაქო ომით გართულებული კატასტროფიულათ დაქვეითებას. ნათესი მიწების შესახებ ცნობები 18 გუბერნიიდან ჩვენ გვეუბნებიან, რომ იგი შემცირებულა 23,2%.

კულტურული მეურნეობის დარგში შემცირება ძლიერ მნიშვნელოვანია მაგალითად შვრიით დათესილმა იკლო—23,6%, ხორბლით—29,7%, ქერით—36,3%; კანაფით დათესილმა ადგილმა ომამდე არსებულის 10% იკლო. (იხ. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“ № 285, 18 დეკემბერი 1920 წ.)

სათეს ადგილის სივრცე მცირდებოდა და გლეხი ვალდებული იყო სახელმწიფოებრივი ბეგარა მოეხადა. და იგი საკმაო გულგრილად ეკიდებოდა განაწერს და ასრულებდა მას, უკანასკნელ დროს საკმაოდ წესიერად, მხოლოდ ემორჩილებოდა რა მუშათა და გლეხთა მთავრობის განკარგულებას. 1918 წლის შემოდგომამდე დამზადებული იყო 30 მილიონი ფუთი პური, 1918—1919 წ. წ. 110 მილიონი ფუთი, 1919—1920 წ. წ. 265 მილიონი ფუთი. ამას გარდა მატულობდა დამზადება ხორცის, კარტოფილის, ზეთის, ქონის და სხ.

და იმ ზედმეტის-მაგიერ. რასაც გლეხი სახელმწიფოს აძლევდა, სახელმწიფოდან ქალაქის წარმოების ნაყოფს ღებულობდა გაცილებით უფრო ნაკლებს, ვინემ გლეხი თითონ აძლევდა მას.

ბუნებრივია, რომ გლეხი უკმაყოფილო იყო განაწერის სიტემის.

ნატურალური გადასახადი იმაში მდგომარეობს, რომ გლეხი აძლევს სახელმწიფოს ჭირნახულის განსაზღვრულ პროცენტს, დათესვამდე გადაწყვეტილს.

ზედმეტი შემოსავალი, რომელიც რჩება გლეხს გადახდის შემდეგ, მისი საკუთრებაა და შეუძლია გამოიყენოს გადასაცვლელად. გადასახადი უდრიდა 240 მილიონ ფუთის რაოდენობას და განაწერი კი 1921—1922 წ.წ. უდრის 423 მილიონს ე. ი. სასურსათო გადასახადი ორჯერ ნაკლებია სასურსათო განაწერზე. რიცხვი 240 მილიონი ფუთი, დაფუძნებულია ქალაქის მცხოვრებთა და ჯარის საშუალო ხარჯზე, რომელიც უკანასკნელ წლებში, თვიურად 20 მილიონს უდრის.

გადასახადს პროგრესიული ხასიათი აქვს და უნდა იქნეს გადახდილი, როგორც პროცენტული გადარიცხვა მოსავლის. უფლარიბესი გლეხობა გადასახადიდან თავისუფალია. ზედმეტი, რომელიც რჩება გლეხობას შეუძლია გადასცვალოს მხოლოდ „ადგილობრივ სამეურნეო წარმოების ფარგლებში“.—ამრიგად სასურსათო გადასახადის უპირატესობა, იმაშია, რომ გლეხი ღღესვე დაინტერესებულია ნათესი ადგილის სივრცის გადიდებაში. რადგან რამდენიც მეტია დათესილი, მით უფრო მეტია ზედმეტი ჭირნახული, რომლის თავისუფლად გადაცვლა შეუძლია. ვაკმაყოფილებთ რა გლეხების ეკონომიურ ინტერესებს, ჩვენ მასთან შეთან-

ხმებას ვახდენთ, ვამტკიცებთ მუშების და გლეხების კავშირს.

იმ სურსათს, რაც დააკლდება სახელმწიფოს, იგი მიიღებს იმ საქონლის ნაცვლად, რომელიც მას აქვს მომარაგებული და ამიტომ საბჭოთა მთავრობა დაინტერესებულია საქონლის ფონდის შექმნაში. ამის განსახორციელებლად დღეს ჩვენ უფრო ხელსაყრელ პირობებში ვართ, ვინემ უწინ. სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისთან, ზავი პოლონეთთან, საშუალებას გვაძლევს გავადიდოთ სასოფლო სამეურნეო ინვენტარის რიცხვი, იმ საგნებისაც, რომელიც საჭიროა სოფლისათვის, აგრეთვე მუშებისათვის საჭირო საქონლის და იმ საწარმოვო იარაღის, რომელიც საჭიროა ჩვენი წარმოების აღსადგენად. ქალაქსა და სოფელს შუა — საქონლის გამცვლელ ცენტრად გამოვა კოოპერატივი. აი, პარტიის მე-X-თე ყრილობამ სასურსათო გადასახადთან დაკავშირებით. რათ შესცვალა მე-IX ყრილობის რეზოლიუცია, რომელიც ამბობდა: „კოოპერაცია უნდა დაემორჩილოს კომპროდის ორგანიზაციებსო“. სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელი დეკრეტის მიხედვით, კოოპერატივები უნდა გახდეს როგორც გამნაწილებელ, ისე დამამზადებელ ორგანოებათ, ე. ი, მათ მიეცა ის ფუნქციები, რომლებიც უწინ წართმეული ქონდათ. კოოპერაციის გამაგრება, კომუნისტების გავლენა კოოპერატიულ მოძრაობაზე, კოოპერატივებში მომუშავე კომუნისტების რიცხვის გამრავლება — აი მომენტის მორიგი მიზანი.

ქვეყნის საწარმოვო ძალთა ზრდასა და წარმოების გამაგრებასთან ერთად. ჩვენ თანდათან, უფრო და უფრო მიუახლოვდებით ქალაქსა და სოფელს შორის ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას. წარმოების თანდათანობითი აღდგენა საშუალებას მოგვცემს შევამციროთ გადასახადები და განვავითაროთ ქალაქსა და სოფელს შუა საქონლის გაცვლის ორგანიზაცია.

ამიტომ გლეხების მოვალეობა სასურსათო გადასახადთან ერთად იმაშია, რომ გააფართოვონ ნათესი ადგილების სივრცე, კეთილსინიდისიერად მოეკიდონ გადასახადს და ამით კი უზრუნველ ჰყონ მუშები სასოფლო მეურნეობის პროდუქტით და მაშინ, მუშას შეუძლია იმუშაოს მრეწველობის აღსადგენად. ეს უკანასკნელი კი გამოიწვევს სასურსათო გადასახადის მაგიერ საქონლის ნორმალურ გაცვლას, რაც დააკმაყოფილებს როგორც გლეხობის, ისე მუშების მოთხოვნილებას.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა, აუხსნან გლეხობას, რომ სასურსათო გადასახადის შემოღებით, საბჭოთა მთავრობა ეხმარება სასოფლო მეურნეობას, ახალისებს მას; მუშებს კი უნდა უთხრათ, რომ სასურსათო გადასახადი არის პროლეტარიატის მიერ საჭირო დათმობა გლეხობისადმი, რომელიც საბოლოოდ მაინც ამაგრებს პროლეტარიატის მდგომარეობას. ამას გარდა პარტიულმა ორგანიზაციებმა თავს უნდა იდვან დაწვრილებით გაიცნონ როგორც გლეხების, ისე მუშების დამოკიდებულება ახალი დეკრეტისადმი, უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომა, რომ იგი უმტკივნეულოდ განხორციელდეს და ამ დარგში დაეხმარონ საბჭოთა ორგანოებს დეკრეტის ცხოვრებაში გატარების დროს.

ქალთა შორის მუშაობის განყოფილებებმა, როგორც ნაწილმა პარტიული აპარატისა, უნდა იკისრონ ამ დეკრეტის განმარტება მუშა ქალებს შორის, რომ ამით გამოავლდეს რიცხვი იმათი, ვინც შეგნებულად შეითვისა განაწყვრის მაგიერ შემოღებული სასურსათო გადასახადის სისტემის მნიშვნელობა. ქალთა განყოფილებათ შეუძლიათ და მოვალენიც არიან მიიღონ მხურვალე მონაწილეობა კოოპერატიული მოძრაობის გამოცოცხლების და განვითარებისათვის პარტიის მიერ წარმოებულ მუშაობაში, კოოპერატიულ ორგანოებში მოღვაწეობისათვის თავის წრიდან შეგნებული მუშაკების გამოყვანით.

მშრომელთა შეგნებული დამოკიდებულება ახალი დეკრეტისადმი — საუკეთესო გარანტიაა ამ დეკრეტის მათდა ინტერესების სასარგებლოდ განხორციელებისათვის.

სათბობის სამკვირეული და თესვის კომისიები.

გაზ. „ბედნოტას“ 18 მაისის №-ში მოთავსებულია მ. გრანდოვის, წერილი. ჩვენ ვბეჭდავთ ამ წერილს, როგორც ნიმუშს საბჭოთა რუსეთში ორგანიზაციული სამეურნეო მუშაობის ილიუსტრაციისას და სახელმწიფოებრივი წარმოების აღდგენისათვის ზრუნვის დამახასიათებელს.

„ტყიდან რკინის გზის სადგურებთან შეშის გამოზიდვა — სწერს იგი — რესპუბლიკისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ უსწრაფეს და უმნიშვნელოვანეს მორიგ საკითხთაგანს.

მთავარი სატყეო კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს სათბობის სამკვირეულის განმავლობაში ტყიდან სადგურებზედ შეშის გამოზიდვის მთელი საქმის მოწყობა, შრომის ბეგარას დაადებს ყველა თავისუფალ მუშებსა და სამხედრო ნაწილებს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა ამ ვალდებულებათა შესრულების საქმეში „ლომის კერძი“ ამ ჟამადაც ისევ სოფელსა ჰხვდება.

მთელი ადგილობრივი მცხოვრებნი, როგორც ნაჩვენებია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ, გაწვეულ უნდა იქმნენ შრომის ბეგარის მოსახდელად, რათა ფაბრიკები, ქარხნები და რკინის გზა გადავარჩინოთ შეშის სიმშილობას.

და წინასწარ უნდა ითქვას, რომ სათბობის სამკვირეულის გამარჯვებით დაგვირგვინების საქმე სავსებით და უმთავრესად დამოკიდებულია სოფელზედ, დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად მეგობრულად და შეგნებულად შეხვდება გლეხობა მოწოდებას შეშის გამოზიდვის შესახებ.

მაგრამ სოფელი ძლიერ გამოფიტულია: ცოტაა ცხენები, ცოტაა საკვები, ცოტაა საჭირო ინსტრუმენტები, ცოტაა თავისუფალი მუშა-ხელი მინდვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების სამუშაოს გამო. ყველაფერი ეს ძლიერ ამძიმებს გლეხებზე დაკისრებულ მოვალეობას.

მაშ რა ვქნათ?

შეშის გამოზიდვაზე უარის თქმა არ შეიძლება,—ამაზე უარის თქმა—იმას ნიშნავს, რომ სულ მოკლე ხანში სავსებით შევაჩეროთ რკინის გზების მოძრაობა და, თვითონ ამით კი გამოვიწვიოთ სამრეწველო დაწესებულებათა მუშაობის შეჩერებაც, რომლებიც საჭიროებენ სათბობი მასალის მიწოდებას. ხოლო ბევრი ლაპარაკი არ არის საჭიროების შესახებ, თუ რა დამღუპველ გავლენას იქონიებდა ყველა ეს მთელი ქვეყნისათვის და თვით ამავე გლეხობისათვისაც.

უნდა ვიფიქროთ სხვა რამეზედ:

როგორ უნდა გაუადვილოთ გლეხობას შეშის გამოზიდვის ბეგარის შესრულება.

უპირველეს უნდა ვიფიქროთ საკვებისა, პურისა და ნატურალურად დაჯილდოვების შესახებ—არც ერთი, არც მეორე და არც მესამე ჩვენ ჭარბად არ მოგვეძევება. პირველშიაც, მეორეშიაც დ-მესამეშიაც ჩვენ უკიდურეს ნაკლულევანებას განვიცდით. გვრჩება ერთი გამოსავალი:

კვლავ შეუმციროთ ვისმეს—სხვას, მოვესპოთ სხვას და მივსცეთ იმათ, ვინც შეშის გამოზიდვის საქმეში იქნება ჩაბმული.

სწორედ ასეც მოიქცა ცენტრალური ხელისუფლება.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ მისწერა სადაც ჯერ არს, რომ გამოიყოს და გადაიდოს მაქსიმალური (რამდენადაც კი შესაძლოა მომეტებული) რაოდენობის სურსათ-საკვები, ხორცი, მარილი, ასანათი და სხვ. იმ ასეულ ათას და მილიონ მომუშავეთა დასაჯილდოვებლად, რომელნიც (ზოგნი უკხენოდ, ზოგნი თავისი ცხენებით) გამოვლენ ტყეში სამუშაოდ.

ადგილობრივ ორგანოთა (სატყეო კომიტეტების, შრომის კომიტეტების, სათემო შრომის განყოფილებათა და აღმასრულებელ კომიტეტების) საზოგადოვ საგანს შეადგენს მხოლოდ ის, რომ თვალყური ადევნონ ყველა მომარაგების საგნების სწორედ და სწორედ მოწოდებასა და მათს სისწორით განაწილებას.

რაც შეეხება ხელსაწყოებს (ხერხები, ნაჯახები და სხვ.) ამ ჟამად მათს ნაკლებულობას მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არ ექნება, ვინაიდან შეშა კი არ უნდა დამზადდეს, არამედ მხოლოდ უნდა გამოიზიდოს **უკვე წინანდელი დამზადებული.**

მაგრამ საქმე მარტო ამითი არა თავდება, არ კმარა მარტო სურსათისა და საკვების მოწოდება მომუშავეებისათვის.

აქ აუცილებლად საჭიროა ვიზრუნოთ აგრედვე იმაზედაც, რომ სათბობის სამკვირეულმა არ შეაჩეროს თესვის კომპანია, არ მიაყენოს მას დიდი ზიანი. სასოფლო მეურნეობის კომპანიის საჭიროებანი ყოველ-მხრივ განხილული და დაცულ უნდა იქმნან ამის გამო სატყო და შრომის კომიტეტებმა უნდა დაიფიწყონ თავიანთ მოგალეობათა კანცელიარულად გატარება:

პირველ რიგში უნდა იდგეს არა შიშველი იძულება,—არამედ ფხიზლად შედგენილი გეგმა მუშაობისა.

უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს **სრული სისწორე მოვალეობისა.**

თვითეულმა სოფელმა წინდაწინვე უნდა იცოდეს თუ სად და რამდენი შეშა უნდა გაზიდოს მან. როდესაც დაკისრებული მოვალეობა აღსრულდება, სოფელმა თავისი ვალდებულება მოხდილად და თავისი ბეგარა **თავისუფლად უნდა ჩასთვალოს.**

ამგვარ პირობებში სოფლის კომიტეტები, ან სოფლის საბჭოები მოალერსებენ ხალხი და ცხენები ისე მოიხმაროონ, რომ ამით თესვის კომპანიას ნაკლები ზიანი მიაყენონ და ნაკლები დრო დაახარჯონ. გარკვეული და სწორი დავალება არა საჭიროებს ზედმეტ კონტროლს მუშაობის დროს და მომუშავესაც ახალისებს საქმის სასწრაფოდ შესასრულებლად.

ამაზედ უნდა ვიფიქროთ უპირველეს ყოლისა, მაგრამ გეგმის გამომუშავების დროს ყველაზედ მეტად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ **აღსრულება ამ გეგმისა.**

უკეთუ გეგმა იმისთანაა, რომ იგი თავის განხორციელებისათვის მოითხოვს ორასული ქალებისა და ავადმყოფ და დაუძლურებულ ბერკაცთა მუშაობას, ან თუ იგი არ შეესაბამება მცხოვრებთა და სატყეო კომიტეტების განკარგულებაში მყოფ სურსათ-საკვების რაოდენობას, მაშინ ასეთი გეგმა ყოვლად გამოუსადეგარია. ასეთი გეგმა დაცინვა იქნება თვით მის შემდგენელთა და შრომის ბეგარაში გაწვეულთა მიმართ.

რათა გეგმა ფხიზლად იყოს შედგენილი, შეესაბამებოდეს ცხოვრებასა და საადვილო იყოს მისი აღსრულება, ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ იგი შემუშავდეს და განაწილდეს თემებისა და მაზრების თესვის კომიტეტებს შორის. ეს დაწესებულებანი ყველაზედ ახლო იცნობენ სოფლის მდგომარეობას და მხოლოდ მათ შეუძლიანთ ფხიზლად მიუდგნენ ამ რთულ საქმეს, აღმოუჩინონ არსებითი დახმარება სატყეო კომიტეტებს.

იქ, სადაც ეს მოსაზრება მხედველობაში არ იქნება მიღებული, იქ წინასწარვე შეიძლება იმისი თქმა, რომ შესაძლებელია მოხდეს ყოველგვარი გაუგებრობა, რაიც დაბრკოლებს სათბობის სამკვირეულის ნაყოფიერად დაგვირგვინებას და ზიანს მიაყენებს თესვის კომპანიას.

წარსულის გამოცდილებანი სავსებით ადასტურებს ასეთ საშიშროებას.

დაე ნუ განმეორდება ძველი შეცდომები, დაე ნუ იზეიმებს კანცელიარშჩინა, დაე სათბობის სამკვირეული გადაიქცეს მეურნეობის ნიმუშად და მოიტანოს ნაყოფიერი შედეგი, რომელიც ნაკლები სიძნელისა იქნება სოფლისათვის.

სასურსათო გადასახადი და საქონლის გაცვლა.

ამ სათაურით მოსკოვის გაზეთ „ბედნიერებაში" დაბეჭდილია პახომოვის წერილი. მოგვყავს იგი სრულიად:

„სასურსათო გადასახადის კანონის გამოამიერიდან განაწერი აღარ იქნება.

განაწერი შოსპობილია, იგი აღარ დაბრუნდება.

განაწერის დროს გლეხმა დანამდვილებით არ იცოდა თუ სახელმობრ რა რაოდენობის ნაწარმოები უნდა მიეცა სახელმწიფოსათვის. მისთვის ყოველთვის მოსალოდნელი იყო მთელი „ზედმეტის" სახელმწიფოსათვის ჩაბარების აუცილებლობა.

ამავე დროს კი—გლეხობა ჩაბარებულ ნაწარმოებთა სამაგიეროდ სახელმწიფოსაგან თავისათვის საჭირო საგნების ძალიან მცირე რაოდენობას იღებდა.

ნატურალური გადასახადის კანონის შემოღებით კი მდგომარეობა სავსებით იცვლება:

გლეხმა უკვე გაზაფხულზედვე, ჯერ კიდევ დათესვამდე ნამდვილად იცის—თუ რამდენის მიცემა დასჭირდება რესპუბლიკისათვის მოყვანლის მოსავლიდან, ხოლო მთელი დანარჩენი კი მის სრულ განკარგულებაში რჩება.

ამ მხრით სახელმწიფოსთან დამოკიდებულება ძლიერ მტკიცდება,—გადასახადი ჩაბარებულია და ყოველგვარი სასურსათო ანგარიშები ამითი თავდება სახელმწიფოსთან.

სამაგიეროდ თავს იჩენს მთელი რიგი ახალი საკითხებისა.

გლეხს რომ რჩება ზედმეტი პური თავის სრულს განკვრგულებაში. იგი მხოლოდ თვითონ არის ნამდვილი პატრონი ამ „ზედმეტის" და თვითონვე შეუძლიან მისცეს მას ისეთი დანიშნულება, როგორიც მას მოესურვება

რანაირი სახელდობრ?

უპირველეს ყოვლისა, იგი ამ ზედმეტს მოიხმარს თავისა და ოჯახის გამოსაკვებად,

შემდეგ იგი თავის მეზობელს გადაუხდის ინვენტარის ქირას-უკეთუ ამ მეზობელმა არ მოისურვა მისთვის უსასყიდლოდ დახმარება.

გარდა ამისა, იგი განსაზღვრულ ნაწილს გადასდებს მეურნეობის გასამჯობესებლად და ამასთანავე იწათ-მომქმედი თვითონ მოიწადინებს, რათა სათესლედ უფრო მეტი დაიჭიროს რომ მომავალში მთელი მინდორი დათესოს, ვინაიდან გადასახადი მთელს სახნავ მინდორზედ ერთმევა.

გარდა ამისა, თვითეული გლეხი მოისურვებს რათა მას უფრო ბლომად დარჩეს „ზედმეტი" და ბოლოს იგი ზედმეტს მოიხმარს საქონელზე გადასაცვლელად.

გადაცვლა კანონით ნებადართულია, რა სახითაც გნებავთ.

თუ გინდა, „ზედმეტი" გადასცვალე სახელმწიფო საქონელზე, თუ გინდა გადაცვლა პირდაპირ შინამრეწველ-მუშასთან დამოუკიდ ბლად აწარმოე: ესე იგი გამოიტანე ბაზარზე, გაჰყიდე და შეიძინე რაც შენ გესაჭიროება.

თუ გინდა შენი ზედმეტი კოოპერიტივს ჩააბარე: კოოპერატივი მას თვითონ გადასცვლის საქონელზე და ის, შენ თვითონ აგარჩევინებს-რაც შენთვის საჭიროა.

გადასახადის შემოღ ბის გამო გაცვლა-გამოცვლის საქმე ფრიად მნიშვნელოვანი ხდება და იგი აყენებს მრავლის-უმრავლეს საკითხებს.

მაგალითად, შეიძლება თუ არა საქონლის შორიდან მოტანა, შეიძლება თუ არა ზედმეტის შორს წაღება, იქნება თუ არა მისი რაოდენობის განსაზღვრა, დააბრკოლებენ თუ არა მას ამკრძალავი რაზმები და ან სახელდობრ-როდის შეიძლება ზედმეტების საქონელზე გადაცვლის დაწყება, როგორ გადაუცვლიან მუშები, როგორ გადაუცვლის სახელმწიფო და სხვა და სხვა.

ზედმეტების შორს გატანისათვის არავითარი განსაზღვრა არ არსებობს, მათი რკინისგზითა და შარაგზით გატანა ნებადართულია, ამკრძალავი რაზმები ამ ჟამად თითქმის ყველგან მოხსნილია (იქ, სადაც აკრეფილია განაწერი უკანასკნელ მოსავალზე). რაც შეეხება რკინის გზას, იქ დამცველი რაზმი არ იხსნება, ვინაიდან უწესრიგო მოძრაობა ბოლოს და ბოლოს სავსებით მოშლიდა ჩვენი ქვეყნის დასნეულებულ ტრანსპორტს.

მაგრამ გლეხისათვის ზედმეტების კონფისკაციითა თუ რეკვიზიციით ჩამორთმევა (გადასახადის ჩაბარების შემდეგ) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხდეს.

გადასახადის ჩაბარება უნდა დაიწყოს მოსავლის აკრეფის უმალვე. არავითარი სასურსათო რაზმები არ იკნება.

გადასახადის მიცემის შემდეგ მიწათ-მოქმედს თავისუფლად შეუძლიან თავისი ზედმეტების საქონელზე გადაცვლა.

რაც შეეხებათ მუშებს, მათს სასარგებლოდ გადაიღება მათ მიერ დამზადებულ საგნების ნაწილი, ნატურალური ჯილდოს სახით-დაკისრებულ საწარმოო მოვალეობათა ნაყოფიერად შესრულების გამო. მუშები საქონელს ორგანიზაციულად გადასცვლიან. რათა მათ სათითაოდ არ იარონ სოფლად არ დაჰკარგონ დრო ბაზარზე და არ გაანაყოფიერონ შემყიდველნი და ვაჭრები ამისთვის შეიქმნება მუშათა კოოპერატივები და ეს კოოპერატივები აწარმოებენ სოფელთან გაცვლას.

თავის მხრივ სოფელსაც უნდა ჰქონდეს კოოპერატივი. გლეხებისათვის გაცვლის კოოპერატივის საშუალებით წარმოება-ორის მიზეზით არის ხელსაყრელი:

უპირველეს იმიტომ, რომ ეს საუკეთესო საშუალება იქნება ვაჭრებისა და ჩარჩების ამოსაფხვრელად.

მეორეც იმიტომ, რომ ყოველი გლეხისათვი გამაჩანაგებელია ცალკე მგზავრობა ქალაქში, ბაზარზე, იარმუკაზე და იქ დიდი დროს დაკ ოგვა და სხვა და სხვა.

გარდა ამისა, ჩარჩი ყოველთვის ნაკლებს მის-

ცეს ნაწარმოებში, ხოლო საქონელში. მეტ ფასს მოითხოვს.

თუ როგორ მოეწყობა კოოპერატივების საქმე, ამაზედ დაწვრილებით შემდეგ.

მილიციის მილიტარიზაცია.

(ივანინის წერილი *)

სახალხო კომისართა საბჭოს 1919 წ. 3 აპრილის დეკრეტით, სურსათის, ტანსაცმელის და იარაღის მხრივ მილიცია გაუთანასწორდა წითელ არმიას. 1920 წ. 8 ივნისს დამტკიცებული დებულებით კი, მილიცია არსებითად გახდა მილიტარისტული.

ეს ახალი ფაზა მილიციის არსებობაში ბევრს, საბჭოთა მუშაკს რამდენიმეთ აკრთობს ხოლმე და იმათში, ვინც მომხრეა და დამცველი მილიციონერების პროფესიონალური შეერთებისა მუნიციპალურ მუშაკთა კავშირში, იწვევს ოპოზიციას.

რა აზრი აქვს ამ მილიტარიზაციას და საჭიროა თუ არა იგი მილიციისათვის, რომელიც თითქოს სამოქალაქო ხასიათის ორგანოა არსებითად? გამოვნახოთ პასუხი და მოვიგონოთ მილიციის განვითარების ისტორია.

მარქსი ოდესლაც სწერდა: „რევოლიუცია იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ ახალი მთავრობა სარდლობდეს ძველი მანქანის საშუალებით, აოამედ იმაში რომ დაამსხვრიოს ეს მანქანა და განაგოს ახალით“. (რევოლიუცია გერმანიაში). ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი 1917 წ. ოქტომბერში სწორედ ასე მოიქცა. ყველაზე უფრო გადამწყვეტი იერიშით იგი მივიდა იმაზე, რაც ყველაზე უფრო საზიზღარი იყო მისთვის. ძველი შემკვიდრეობიდან, განსაკუთრებულ სიძულვილს იწვევდა პოლიცია. ჯერ კიდევ თებერვლის მთავრობის „წყნარ“ გადატრიალების დროს, ხალხის რისხვამ თავდაპირველად ანგარიში გაუსწორა საპოლიციო უბნებს და სრულიად გადარეცხა იქ პოლიციური კვალი. გადარეცხა, მაგრამ არა სამუდამოდ: განდევნილი პოლიციელები, თანდათან ნელინელ ისევ მემოძვრენ. ოქტომბერში გადმოგდებულმა კოალიციონურმა მთავრობამ, დასტოვა თავის შემდეგ ძილიციის ისეთი აპარატი რომელიც არაფრით განირჩეოდა ძველი პოლიციიდან და მისი აპარატიდან, დასტოვა „მილიციის სამართველოები, რომლებშიც ძეტ წილად ისხდენ ძველი მგლები და საპოლიციო საქმეების კანცელიარული „თეორეტიკოსების როლში, წრთვნიდენ მილიციის ოფროსეებს „ახალი წესწყობილების გასამაგრებლად“ ძველი ხერხის საშუალებებით.

პროლეტარიატს უნდა დაემსხვრია ესეც, აგრეთვე მტრულად განწყობილი მანქანა და მის მაგიერ გაეჩინა ახალი, საკუთარი.

უნდა გაეჩინა სწრაფად „აღელვებით და საჩქაროთ“, რევოლიუციის ცეცხლსა და ქარიშხალში.

რევოლიუციონური ენერგიის ფოკუსები იყვნენ საბჭოები. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1918 წ. 28 ოქტომბრის დადგენილებით, საბჭოს მიენდო „მუშათა მილიციის“ შექმნა.

საბჭოებმა მრავალ ადგილას მოახდინეს ცდა მოქალაქეების მოწოდების ძილიციის ფუნქციების შესასრულებლად, საძილიციო ბეგრის ხიადაგზე. თუ არ ძივიღებთ მხედველობაში კრონშტადს, ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა; კრონშტადში კი შესაძლებელი გახდა მისი გატარება მხოლოდ ადგილობრივი პირობების წყალობით, სადაც მისი განხორციელებას არ გამოუწვევია დაბრკოლება.

ქვეყნის ძიგნი ი წესრიგის დაცვა მოითხოვს ძალას საერთოთ, რევოლიუციონური წესრიგის დაცვა კი თხოულობს რევოლიუციონურ ძალას. საბჭოთა ხელში ერთად ერთი ძალა, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების პირველ ხანებში იყო მუშების წითელი გვარდია. როცა ვერ ძოხერხდა საძილიციო ბეგრის გატარება, მილიციის ნოვალეობა დაეკისრა წითელ გვარდიას. მაგრამ წითელ გვარდიელი, რომელიც თავის თავს „სამხედრო“ კაცათ გრძნობდა, რომელიც მოწოდებული იყო დაეცვა ძუშათა რესპუბლიკა შეიარაღებული პოლიტიკური შენობისაგან, ცხადია, ვერ გამოდგებოდა ძილიციონერის მოვალეობის აღმასრულად რაც თავისთავად სამოქალაქო ხასიათისაა. ბოლოს, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც, სამხედრო ერთეულებისათვის მილიციის მოვალეობის დაკისრება, უნდა ჩაითვალოს არა ოაციონალურად, რადგან ასეთი თანაძდებობის ასრულების დროს, ყველაზე უფრო სუსტნი, და შეცდენისათვის ადვილი მსხვერპლნი, ძორალურად იხრწნებიან და შეაქვთ თავიანთ წრეშიც გახრწნილება.

რევოლიუციონური და სამოქალაქო წესრიგის დაცვის ორგანიზაციის პირველი ცდის დამარცხებამ, მიგვიყვანა იმის შეგნებამდე, რომ აუცილებელ საქიროებას წარმოადგენს შექმნა სპეციალური ადძინისტრატიული ორგანოსი.

ორი წლის განძავლობაში სავსებით დასრულდა მილიციის ძოწყობა გზა და გზა თუ გავატაოებთ პარალელს პოლიციის ისტორიასა, რომელსაც თვითძყოობელობა დიდი ყურადღებით და სიყვარულით ეპყრობოდა და რომელიც 1917 წ. თებეოვლისათვის ერთად ერთი დასაყრდნობი ძალა იყო მთავრობისათკს, თუ ამ პოლიციას შევადარებთ მილიციას, ძუშურ გლეხური ხელისუფლების დასაყრდნობ ძალას, უნდა აღინიშნოს თავბრუდამსხმელი სისწრაფე უკანასკნელის განვითარებაში.

1718 წელს, შექმნილი როგორც დაწესებულება, პოლიციამ, განიცადა რა ძთელი ოიგი ცვლილებისა, მხოლოდ 1865 წლიდან დაიწყო იძ, ცნობილი სახის მიღება, რომელიც მისცეს ვას 1881 წ. 14 აგვისტოს გამოცემული დებულებით „სახელმწიფო წესრიგის და საზოგადოებრივი მყუდროების დაცვის“ ზომების შესახებ.

მილიციასა და პოლიციას შორის კონკურენციის შესახებ, ამრიგათ, ლაპარაკიც ზედმეტია ორგანიზაციის სწრაფათ ძოწყობის დროს, თუმცა

*) იხ. Власть Советов“ № 6—7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზევით მოთხრობილიდან სჩანს მილიციამაც განიცადა ცვლილება. მაგრამ ამ ცვლილებების მიუხედავად, მილიცია თავის საბოლოოდ მოწყობამდე მაინც არ ყოფილა ის ახალი მანქანა, რომელიც საჭიროა ახალი პროლეტარული სახელმწიფოს მართვისათვის.

როგორ პროლეტარიატის ნების განმახორციელებელი და კლასიური ადმინისტრატიული ორგანო, მილიცია, როგორც სხვა დანარჩენ შემთხვევებში, უნდა იდგეს ბურჟუაზიული კლასის მსგავსივე ორგანოს შეჯიბრების გარეშე.

არავინ არ უახლოვდება მცხოვრებლებს ისე მჭიდროთ, როგორც მილიციონერი, იმავე მცხოვრებთა დაბალ წრიდან გამოსული. თუ კი ბურჟუაზია ლორდი კიტჩენერის პირით ლაპარაკობს „რომ დიდია პოლისმენის კულტურული მნიშვნელობა", მუშას და გლეხს აქვს უფლება მოითხოვონ, მოელოდენ, რომ მილიციონერის მნიშვნელობა იყოს კიდევ უფრო მეტი და თან სოციალისტური.

მილიცია — პირველი გამტარებელია მცხოვრებთა მასის კანონების, იგივე პირველი დამცველია სოციალისტური სახელმწიფოს კანონების ყოველგვარი იერიშიდან, ვისგანაც არ უნდა იყოს იგი წარმოებული.

დღევანდელ პირობებში, როცა საჭიროა ცხოვრებაში შრომის ბეგრის გატარება და ალორძინების გზაზე დამდგარ წარმოების დასაცავად მთელი ძალის მოხმარა, მილიციის მნიშვნელობა როგორც სახელმწიფოს ხელისუფლების იძულებითი ორგანოსი იზრდება უკიდურესი მნიშვნელობის მოვლენამდე.

თანდათან განმტკიცების გზაზე შემდგარი რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა თხოულობს ძალის განსაკუთრებით ძლიერად მოკრეფას, ჩვენს ქვეყანაში შინაურ წესრიგის დამყარების საქმეში და მილიციის როლი, როგორც ადმინისტრატიული ორგანოსი, არის განსაკუთრებული მნიშვნელობის.

საბჭოთა ხელისუფლების შავი, თეთრი და მწვანე მტრების იერიშებისაგან ქვეყნის დაცვა შიგნით, მილიციის წინაშე აყენებს სამხედრო ხასიათის დავალებას. გარეშე ფრონტი იზიდავს მილიციონერს, როგორც წითელ არმიელს.

ასე ერთდება მილიციის მუშაობაში წმინდა სამოქალაქო ფუნქციები სამხედროსთან, ასეა გადახლართული სამსახური „მყუდროება და სიწყნარის" დაცვისათვის, სამხედრო გმირობასთან და ოქმის დამწერის კალამს შეცვლის ხოლმე თოფი მხედრისა. ისტორიის მსვლელობას ასე მიჰყავს მილიცია მილიტარიზაციამდე.

მაშასადამე კითხვა უნდა არა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა მილიციის მილიტარიზაცია, რაც აუცილებლად საჭიროა, არამედ იმის შესახებ თუ როგორ უნდა გატარდეს ეს მილიტარიზაცია, როგორ გახდეს მილიცია სამხედრო ორგანოდ ისე რომ ამავე დროს არ დაეკარგოს მას ის მქნილობა, რომელიც უნდა იქნეს მას როგორც სამოქალაქო ორგანოს.

ადმინისტრატიული მართველობის პრაქტიკაში ბოლომდე გამილიტარისტებული მილიცია პირველი მოვლენაა. გადავდევ რა სხვა დროსათვის მილიციის გამილიტარისტების საშუალების საკითხის და მისგან გამომდინარე ყველა შედეგის შესახებ მსჯელობას, შევჩერდები მხოლოდ საქმის იმ მხარეზე რომელიც დაკავშირებულია. მილიციონერის უფლებრივ მდგომარეობასთან.

პიუველად შევეხოთ საკითხს „მათი პროფესიონალურ კავშირში მონაწილეობის მიღების" დღემდე მილიციონერები შედიოდენ მუნიციპალური მუშაკთა კავშირში. ეს ერთის მხრივ პირველ შეხედვაზე თითქოს ლოღიკური იყო, რადგან მილიცია ადგილობრივი საბჭოების სამსახურში იყო. მაგრამ მისი მილიტარიზაციამდეც, პრაქტიკულის მხრივ, პირველ ყოვლისა მილიციის პროფესიონალურად დარაზმვა, ყოვლად შეუძლებელი შეიქნა დაკავშირებინა მილიციონერის პროფესიასთან. დაქვემდებარებული უფროსს დისციპლინის ნიადაგზე, არსებითად სამხედროსი ჩაყენებული სამუშაოს ხასიათით ისეთ მდგომარეობაში, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია მისი სამსახურის მოვალეობის ასასრულებლად მოწოდება, მილიციონერს თავდაპირველად არ შეეძლო მიემართა პროფესიონალური კავშირისათვის, რომ განესაზღვრათ მისი სამუშაო დრო, ვინაიდან იგი ვალდებული იყო აესრულებინა თავისი უფროსის განკარგულება, როგორც სამხედრო ბრძანება, მილიციონერს არ შეეძლო დაესვა საკითხი განსახილველად მუნიციპალური მუშაკთა კავშირში იმ მოსაზრებით თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა შრომის [illegible], რომლის შემადგენლობაში იგი შედიოდა არა თავისი მუშაობის ხასიათის მიხედვით, არამედ როგორც მიწერილი ამ კავშირთან სამსახურის გამო. ჩაყენებული კულტურული ცხოვრების სულ სხვა პირობებში ვინემ საბჭოთა სხვა მოსამსახურენი, მას არ შეეძლო ესარგებლნა სავსებით კულტურული განვითარების იმ შესაძლებლობით, რომელსაც პროფესიონალური კავშირები აწვდიან თავიანთ წევრებს. მილიციაში კულტურული განმანათლებელი მუშაობა მუდამ ყოფილა წარმოებული დამოუკიდებლად და პროფესიონალური კავშირის მსგავსივე მუშაობის პარალელურად.

მაგრამ, მაინც მილიციონერი პროფესიონალური კავშირის წევრად იყო და, ამიტომ იყო რომ ვალდებული თავისი იურიდიული მდგომარეობის მიხედვით, შეესრულებინა კავშირის მიერ თავის წევრთათვის დადგენილი წესი, ფაქტიურად კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იძულებული იყო თავისი პროფესიის ზედგავლენით, დაერღვია თითქმის ყოველთვის სათანადო ნორმები, ბუნების ასეთ გარემოებას პროფესიონალურ კავშირის წევრისას, ერთის მხრივ შეჰქონდა დეზორგანიზაცია თვით კავშირში და მეორეს მხრით კი, არღვევდა მილიციაში დისციპლინას.

გამილიტარისტებული მილიციონერის ბუნება

თვითვე გამორკვეულია სავსებით და მისი დამოკიდებულება პროფესიონალურ კავშირთან ნათელია, ნათელია ისევე, როგორც საბოლოოდ ირკვევა მისი უფლებები მეორეს მხრივ—ყოველგვარი ულუფის მიღების და მისი ოჯახის უზრუნველყოფის სამსახურის გამო მობილიზაციის, ან და თავისი მოვალეობის ასრულებისას სიკვდილის შემთხვევის დროისათვის.

ეს არის სარგებლიანობა, რომელსაც ღებულობს მილიციონერი მის გამილიტარისტების დროს. აქ ყველაზე უწინ საჭიროა მიექცეს ყურადღება იმ ისტორიულ მდგომარეობას, რომელშიც ეს გადაქცნა ხდება, იმ გარემოებას, რომლითაც გამოწვეულია მილიციის გამილიტარისტების საჭიროების შეგნება. საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, მის მიერ დამყარებული წესწყობილების დაცვასა და გამტკიცების დარგში სამი ამოცანაა: რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა კონტრ-რევოლიუციონური მასიური ძალების გამოსვლიდან, საკუთარი შეიარაღებული ძალების დაპირისპირებით და ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულებთან, რომლებიც ამზადებენ მას, ან ხელს უწყობენ და პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან, რომლებიც ძირს უთხრიან ან ასუსტებენ პროლეტარიატის დიქტატურას და ბოლოს დაცვა შინაური სამოქალაქო წესრიგის.

რა ადგილი უნდა ეჭიროს ამ დარგში გამილიტარისტებულ მილიციას? ამის შესახებ შემდეგ.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

შემდეგ წამოყენებული ეკონომიური საკითხები. რას ნიშნავს ეს ლოზუნგი თავისუფალ ვაჭრობისა, რომელსაც აყენებს წვრილი ბურჟუაზიული სტიქია? ეს ლოზუნგი კი იმას გვიჩვენებს, რომ პროლეტარიატსა და წვრილ მიწიან მწარმოებელთა შორის სუფევს ისეთი მძიმე პრობლემები, სუფევს ისეთი საკითხები, რომელიც ჩვენ ჯერ ვერ გადაგვიწყვეტია. მე მოგახსენებთ დამოკიდებულებაზე ძლევამოსილ პროლეტარიატის წვრილ მეურნეთა მიმართ, როდესაც პროლეტარული რევოლიუცია ფართოვდება იმ ქვეყნაში, საცა პროლეტარიატი შეადგენს უმცირესობას, უმრავლესობა კი წვრილ ბურჟუაზიულს. პროლეტარიატის როლი ამნაირ ქვეყანაში მდგომარეობს იმაში, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ წვრილ მეპატრონეთა გადასვლას ამ მდგომარეობიდან გაერთიანებულ კოლლექტიურ საზოგადო შრომაზე. ეს თეორიულად ეჭვს გარეშეა. ამ გადასვლას ჩვენ შეველეთ მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საქმე საკანონმდებლო აქტებში კი არ არის, საქმე პრაქტიკულ განხორციელებაშია, და ისიც მოგვეხსენებათ, რომ, ამის უზრუნველყოფა შეიძლება მაშინ, რდესაც გვექნება უძლიერესი დიადი მრეწველობა, რომელიც შესძლებს მისცეს წვრილ მწარმოებელს ისეთი სიკეთენი, რომ ის დარწმუნდება პრაქტიკულად ამ მსხვილ მეურნეობის უპირატესობაში, თეორიულად—ეს აყენებდენ საკითხს ყოველ მუდამ [illegible] და ყველა სოციალისტები, რომელნიც სოციალურ რევოლიუციასა და მის მიზნებზე აზროვნობდენ.

ჩვენი პირველი განსჯავება კი, ნამდვილად, როგორც ეს სჩვევია რუსეთს—იმაში გაძოიხატება, რომ ჩვენ გვყავს არამც თუ უმცირესობა, არამედ დიდი უმცირესობა პროლეტარიატისა და უდიდესი უმრავლესობა გლეხობისა. იმ პირობებმა, რომელშიაც ჩვენ მოგვიხდა რევოლიუციის დაცვა, შექმნეს ის, რომ ჩვენი მიზნების გადაწყვეტა ძალიან ძნელი გახდა.

პრაქტიკაზე ჩვენება მსხვილ მრეწველობის ყველა უპირატესობისა ჩვენ არ შეგვეძლო, ვინაიდანეს მსხვილი წარმოება დანგრეულია, ვინაიდან ის საუბედურო მდგომარეობაშია ჩაყენებული და მისი აღდგენა შეიძლება იმ გზით, რომ თვით წვრილ მიწადმფლობელებმა გაიღონ მსხვეპლი ამისთვის. საჭიროა მრეწველობის აღდგენა, ამას კი სჭირია სათბობი ძალა, ამისათვის იმედი უნდა გვქონდეს შეშისა. შეშის იმედი კი გულისმობს გლეხისა და მის ცხენის იმედს.

ამნაირ კრიზისის, უსაჭმლობის, და საქონლის დახოცვის პირობებში გლეხკაცმა საბჭოთა მთავრობას გაუხსნას კრედიტი იმ დიდ მრეწველობისათვის, რომლისგანაც ჯერ ჯერობით ვერაფერს სარგებლობს—აი ეს არის ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც დიდ დაბრკოლებებს ჰქმნის და გვავალებს ჩაუკვირდეთ ამ პირობებს, ომისაგან მშვიდობიანობაზე გადმოსვლისას, უფრო ღრმა თვალსაზრისით, ჩვენ არ შეგვიძლიან ვაწარმოვოთ მეურნეობა, თუ არ ვუთხარით გლეხებს; „საჭიროა მისცეთ სესხი მუშა-გლეხთა სახელმწიფოს რომ თავი დიახწიოს ამ მძიმე მდგომარეობას„. როდესაც ჩვენ მთელ ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ მეურნეობის აღდგენას, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე გვაქვს წვრილ მიწის მომქმედთან, წვრილ მეპატრონესთან, წვრილ მწარმოებელთან, რომელიც საქონლის აღებ-მიცემობაზე მუშაობს, მსხვილ წარმოების გამარჯვებამდე და მის აღდგენამდე. მისი აღდგენა კი შეუძლებელია ძველ საფუძველზე. ამისათვის დიდი [illegible] ორსიაქა , ორა ნაკლებ ათიეულ წლებისა, ჩვენ სილატაკის გამო კი უფრო მეტი დიდხანს. სანამდის კი, ჩვენ ამ წვრილ მწარმოებელთან საქმე გვექნება, როგორც ამნაირთან და ლოზუნგს "თავისუფალ ვაჭრობისა"-ს ვერ წაუვალთ. და მიუხედავად, გლეხთა მასსის სიძულვილისა, იგი მაინც გავრცელდება, ვინაიდან ის წვრილ მწარმოებლის არსებობის ეკონომიურ პირობებს შეესაბამება. ცენტრალურმა კომიტეტმა, ამ მოსაზრებით, მიიღო კიდეც ეს გადაწყვეტილება, მოისურვა კიდეც დისკუსიის წარმოება გლეხებზე გაწერვის მაგიერ გადასახადის შემოღებისშესახებ, და დღეს პირდაპირ დასვა ეს საკითხი ყრილობაზე, რაც თქვენ, უკვე მოიწონეთ დღევანდელ გადაწყვეტილებაში.

საკითხი გადასახადისა და დანაწილმბის შესახებ დასმულ იყო კანონმდებლობაში დიდი ხანია,

ჯერ ისევ 1918 წელს. კანონი გადასახადის შესახებ აღნიშნულია 1918 წლის 30 ოქტომბრის თარიღით. ამ კანონის მიხედვით უნდა შემოღებულიყო ნატურალური გადასახადი წვრილ მიწის დამმუშავებლებზე, მაგრამ ცხოვრებაში იგი ვერ გატარდა მის გამოცხადების შემდეგ, რამდენიმე თვის განმავლობაში, გამოიცა რამდენიმე ინსტრუქცია, და ის ვერ შეეგუა ცხოვრებას.

მეორე მხრივ—გლეხთა მეურნეობიდან ზედმეტი ჭინახულის აღება გულისხმობდა ისეთ ზომას, რომელიც, საომარ გარემოებათა, წყალობით ჩვენ თავს მოგვეხვა, აბსოლიუტურ საჭიროების გამო, მაგრამ რომელიც გლეხის მეურნეობის ნორმალურ პირობების არსებობას ოდნავაც კი არ შეეფერება. გლეხს უნდა ჰქონდეს რწმენა იქისა, რომ ის ამდენს გაიღებს და ამდენს დაიტოვებს თავის წვრილ აღებ-მიცემობის საჭიროებისათვის.

მთელი ჩვენი მეურნეობა, როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ, გაჟღენთილი იყო საომარ დროის პირობებით. უწევდით რა ამას ანგარიშს, ჩვენ მიზნად უნდა დაგვესახა სურსათის განსაზღვრული რიცხვის აღება, ანგარიშ გაუწევლად იმისა, თუ საერთო მეურნეობის აღებ მიცემობაში რანაირ ალაგს დაიკავებს ეს. ეხლა, როდესაც ჩვენ გადავდივართ საომარ საკითხებიდან სამშვიდობო საკითხებზე, ჩვენ ნატურალურ გადასახადზე სულ სხვა წარმოდგენისა ვართ: ჩვენ უცქერით მას არამც თუ მხოლოდ სახელმწიფოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამედ წვრილ მიწადმოქმედების მეურნეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. ჩვენ უნდა შევიგნოთ წვრილ სახოფლო-სამეურნეო სტიქიის აღშფოთების ეკონომიური ფორმები პროლეტარიატის წინააღმდეგ, რომელთაც თავი იჩინეს და რომელიც დღევანდელ კრიზისის დროს მწვავდება. ამ მხრივ ჩვენ უნდა მოვახერხოთ გავაკეთოთ შესაძლებლობის მაქსიმუმი. ეს საქმე ჩვენთვის ერთ უმთავრეს საქმეთაგანია. საშუალება მივცეთ გლეხს თავისუფლებისა ადგილობრივ აღებ-მიცემობაში, გადავიტანოთ განაწილება გადასახადებზე, რომ წვრილ პატრონმა უფრო უკეთესად გამოიანგარიშოს თვისი წარმოება და გადასახადის თანაბრად დააწესოს ზომა თავის წარმოებისა, რასაკვირველია, ჩვენ ვგრძნობთ, რომ იმ გარემოებაში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით დღეს—ეს საქმე ძნელი განსახორციელებელია. ნათესობის სიფარ თოემ, მოსავლიანობამ, წარმოების საშუალებებმა—ყველა ამათ იკლეს, ზედმეტი ჭინახული უეჭველათ შეცოტავდა და ბევრ შემთხვევაში იგინი არც კი მოიძებნებიან. ამ პირობებს ანგარიში უნდა გაეწიოს როგორც ფაქტს. საერთო სახელმწიფოებრივ მასშტაბში ეს სრულებით გასაგებია, მაგრამ ეს რომ შეიგნოს წელში მოწყვეტილ გაძვალტყავებულმა გლეხმა—პატრონმა. ჩვენ ამის იმედი არა გვაქვს. და ჩვენ ვიცით რომ თუ არ იძულებით, სხვა გზით ვერას გააწყობ, ეს იძულებითი ზომა კი განადგურებულ გლეხობაზე ძლიერ მოქმედობს. იმედი არ უნდა გვქონდეს თანაც, რომ ეს ზომა ჩვენ კრიზისს თავიდან აგვაცილებს. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ვისახავთ მიზნად დაითმობის მაქსიმუმს, რომ საშუალება მივცეთ წვრილ მწარმოებელს, ჩადგეს საუკეთესო პირობებში თვის ძალთა გამოსაჩენად. აქამდის ჩვენ ომის მიზნების კვალობაზე ვმოქმედობდით. ეხლა ჩვენ უნდა შევეწყოთ სამშვიდობო დროის პირობებს. ეს მიზანი ცენტრალურ კომიტეტის წინაშე წარმოსდგა და იგი დაკავშირებულია კონცესიებთან—ეს მიზანი გახლავთ ნატურალურ გადასახადზე გადასვლა, პროლეტალურ მთავრობის არსებობის პირობით. პროლეტალურ მთავრობას ამ კონცესიებს საშუალებით შეუძლიან უზრუნველ ჰყოს თავისათვის კავშირი მოწინავე ქვეყნების კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, ამ კავშირზე კი დამოკიდებულია ჩვენი მრეწველობის განვითარება, ურომლისოდაც ჩვენ ვერ მოვახერხებთ წინსვლას კომუნისტური წესწყობილების გზაზე, მეორე მხრივ ამ გარდამავალ პერიოდში, იმ ქვეყანაში, საცა გლეხობა სჭარბობს ჩვენ უნდა შევესძლოთ გადასვლა გლეხთა ეკონომიურად უზრუნველყოფის ზომათა მაქსიმუმზე.

უნდა უზრუნველ ჰყოთ ის, რომ მან შეძლოს თავისუფლად აწარმოოს მეურნეობა ეს მდგომარეობა მერყევია. ჩვენი რევოლიუცია კაპიტალისტურ ქვეყნებათაა გარემოცული. სანამ ჩვენ ასეთი მდგომარეობაში ვიმყოფებით, ჩვენ იძულებული ვართ მოვძებნოთ ძლიერ რთული ფორმები ურთიერთ დამოკიდებულებისა. ჩვენ ომით წელში წახრილთ არ შეგვეძლო გულის ყურის ერთად მოკრება მასზე, თუ როგორ დაგვეყენებინა ეკონომიური ურთიერთ-დამოკიდებულებანი პროლეტარულ მთავრობისა, რომელსაც ხელთ უპყრია ძსხვილი წარმოება, დიდათ გაევრანებული, და წვრილ მიწად-მოქმედთა შორის, რომელნიც ვიდრე ასეთ მდგომარეობაში დარჩებოდა, არ შეუძლიანთ ცხოვრება წვრილ მეურნეობის უზრუნველსაყოფლად, რაიმე აღებ-მიცემის სისტემით. მე ამ საკითხს ყველაზე უმთავრეს ეკონომიკის პოლიტიკის საკითხადა ვთვლი საბჭოთა რუსეთისა თვის ამ ჟამად.

მე ვფიქრობ, რომ აი აქ სწორედ სწყდება ჩვენი პოლიტიკური მუშაობის შედეგები, როდესაც ჩვენ დავამთავრეთ სამხედ-ო პერიოდი და საანგარიშო წელს დავიწყეთ განხორციელება გადასვლა მშვიდობიან მდგომარეობაზე. ეს გადასვლა დაკავშირებულია ისეთ მძიმე პირობებთან, ისე ცხადათ გამოხატავს ეს წვრილი ბურჟუაზიულ სტიქიას რომ საჭიროა სალათ შევხედოთ მას. ჩვენ უცქერით ამ მთელ რიგ მოვლენებს კლასთა ბრძოლის თვალსაზრისით და ჩვენ არას დროს არ მოვტყუებულვართ იმაში, რომ საკითხი პროლეტარიატის და წვრილ ბურჟუაზიის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ—მძიმე საკითხია, და პროლეტარიატის მთავრობის გამარჯვებისთვის მოითხოვს, რთულ ზომებს, ანუ სწორედ რომ ვსთქვათ, მთელ სისტემას რთულ გადასასვლელ ზომებისას. იმ გარემოებიდან, რომ ჩვენ 1918 წელს გამოვეცით დეკრეტი ნატურალურ გადასახადის შესახებ; ცხადათ სჩანს, რომ ეს კითხვა კომუნისტების წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდგას, მაგრამ ვერ განვახორციელებთ ჩვენ იგი, ეს საომარ გარემოებას უნდა მიეწეროს. ჩვენ მოგვიხდა გადავსულიყავით საომარ დროის ზომებზე, როცა ჩვენ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ვიმყოფებოდით. მაგრამ, უდიდეს შეცდომას დავუშვებთ თუ აქედან იმ დასკვნას გამოვიტანთ, რომ მხოლოდ ესეთი ზომები და ურთიერთობანია შესაძლო. როდესაც მშვიდობიანობაზე გადასვლა ხორციელდება ეკონომიურ კრიზისის პირობებში, უნდა გვახსოვდეს, რომ პროლეტარიატის სახელმწიფოს აღმშენებლობის განხორციელება მსხვილ მწარმოებით ქვეყანაში უფრო ადვილია, ვიდრე იმ ქვეყანაში სადაც წვრილი წარმოება უფრო სჭარბობს. ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ სულ სხვა საქმეა პროლეტარიატი და სულ სხვა საქმეა—წვრილი წარმოება. ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ არსებობს სხვა და სხვა კლასები, რომ წვრილი ბურჟუაზიული, ანარქიული კონტრ-რევოლუცია წარმოადგენს პოლიტიკურ საფეხურს თეთრგვარდიელობისაკენ. ჩვენ ამას უნდა ვუყუროთ პირდაპირ, ფხიზლად, რადგან ვართ დარწმუნებულნი, რომ აქ საჭიროა მაქსიმალური შეკავშირება, სიმტკიცე და დისციპლინა პარტიის შიგნით, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ—მთელი რიგი ეკონომიურ ზომების, რომლის განხორციელებაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ საომარ გარემოებათა წყალობით. ჩვენ უსათუოდ საჭიროდ უნდა ვიცნოთ კონცესიები, იარაღის და მანქანების შეძენა სასოფლო მეურნეობის დასაკმაყოფილებლად, რომ მათ პურზე გადაცვლით აღვადგინოთ ისეთი დამოკიდებულება პროლეტარიატსა და გლეხკაცობის შორის, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მის არსებობას საომარ დროის მდგომარეობის დროს.

მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ ამას კვლავ დაუბრუნდებით.

დასასრულ ორიოდე სიტყვით გამოვეხები იმ საკითხს ბიუროკრატიზმთან ბრძოლისას, რომელმაც ამდენი დრო წაგვართვა. ჯერ ისევ შარშან ზაფხულს ეს საკითხი დასვა ცენტრალურ კომიტეტმა წამოაყენა ეს საკითხი წერილში, რომელიც დაეგზავნათ ყველა ორგანიზაციებს, სექტემბერში იგი დაისვა პარტიულ კონფერენციაზე, დაბოლოს დეკემბერში საბჭოთა ყრილობაზე ეს საკითხი უფრო ფართო მასშტაბით დაისვა. უსათუოდ ბიუროკრატიული ავადმყოფობა არსებობს; იგი უკვე ცნობილია და საჭიროა ნამდვილი ბრძოლის წარმოება მის წინააღმდეგ. რასაკვირველია იმ დისკუსიის დროს, რომელსაც ჩვენ ვხედავდით ზოგიერთ პლატფორმებში, ეს საკითხი ისმებოდა სულ ცოტათი რომ ვსთქვათ, დაუდევრად და სულ მუდამ იხილებოდა წვრილ ბურჟუაზიულ თვალსაზრისით. საჭიროა შევიგნოთ, რომ ბრძოლა ბიუროკრატიასთან არის ბრძოლა აბსოლუტურად საჭირო და რომ იგი ისეთივე რთულია, როგორც ბრძოლის მიზანი წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიასთან, ბიუროკრატიზმი ჩვენს სახელმწიფოებრივ წესწყობილებაში ისეთი მნიშვნელობის ავადმყოფობა შეიქნა, რომ მასზე ალაპარაკდა ჩვენი პარტიული პროგრამმა და ეს იმიტომ, რომ იგი დაკავშირებულია წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიასთან და მის დაქსაქსვასთან. ამ ავადმყოფობის ძლევა შესაძლოა მხოლოდ მშრომელთა შეკავშირებით, რომ მათ შეეძლოთ არა მარტო მისალმება დეკრეტებისა, მუშათა-გლეხთა ინსპექციის შესახებ,—განა ცოტა გვაქვს ისედაც დეკრეტები, რომელთაც მხოლოდ ესალმებიან ხოლმე?—არამედ, რომ მათ მოახერხონ მუშათა-გლეხთა ინსპექციის საშუალებით თვის უფლებათა განხორციელება, რასაც არ ვხედავთ დღეს არამც თუ სოფლად, ქალაქებშიაც და ასე გასინჯეთ სატახტო ქალაქებშიც კი, ხშირად ვერ ახერხებენ მის განხორციელებას იქაც კი, სადაც უფრო მეტს ჰყვირიან ბიუროკრატიზმზე. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

აქ ჩვენ ხშირად თვალყურს ვადევნებთ, რომ ზოგიერთებს, ამ ბოროტებასთან ბრძოლის დროს, შეიძლება გულწრფელადაც სურთ დაეხმარნენ პროლეტარულ პარტიას, პროლეტარიატის დიქტატურას, პროლეტარიატის მოძრაობას, საქმით კი ეხმარებიან წვრილ ბურჟუაზიულ ანარქიულ სტიქიას, რომელმაც რევოლუციის დროს არა ერთხელ გვიჩვენა თავისი თავი, როგორც ყველაზე საშიში მტერმა პროლეტარიატის დიქტატურისა. ეხლა კი—და ეს ძირითად დასკვნას და გაკვეთილს წარმოადგენს წლევანდელის წლისას—ის გამოვიდა ერთხელ კიდევ, როგორც ყველაზე საშიში მტერი, რომელსაც შეუძლიან ყველაზე მეტი მომხრე იყოლიოს და დამხმარე ქვეყანაში, რომელსაც შეუძლიან შეცვლა ფართე მასსების სულიერ განწყობილებისა, და შეჰქრა უპარტიო მუშათა ნაწილშიც კი. თუ ჩვენ ეს ვერ შევიგნეთ, თუ ჩვენ ეს გაკვეთილი არ შევისწავლეთ, და თუ ჩვენ ეს ყრილობა არ გადავაქცევთ ახალი გზის მაჩვენებელ პუნქტებად, როგორც ეკონომიურ პოლიტიკაში და პროლეტარიატის მაქსიმალურ შეკავშირების მხრივაც, მოგვიხდება სამწუხარო სიტყვების ხმარება ჩვენ თავზე, რომ ჩვენ არ დაგვიწყებია იქიდან, ზოგჯერ ფუქსავატიდან და წვრილმანიდან, რის დავიწყებაც საჭიროა, და არაფერი შევისწავლეთ იმ დარბაისლურიდან, რაც ამ რევოლუციის წელს ჩვენ უნდა შეგვესწავლა. მე იმედი მაქვს რომ ეს არ მოხდება (მქუხარე ტაში).

კვირიდან კვირამდე

საბჭოთა საქართველოში

საქ. კ. პ. ტფილისის ქალაქის ორგანიზაციების კონფერენცია.

კვირას ივნისის 5-ს დრამატიულ თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა საქ. კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 100-მდე დელეგატი. პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ: ამხ. ფილიპე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახარაძე, ლისოვსკი, ლ. ლოლობერიძე, ბ. მუჩაიძე, რუბენი, ივანოვი და სხვ.

დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე, 2) სასურსათო საკითხი, 3) პარტიის მშენებლობა, 4) ორგანიზაციული მუშაობა. 5) მიმდინარე საკითხები.

პირველი მოხსენება გაიკეთა ამხ. ფილიპე მახარაძემ მიმდინარე მომენტზედ.

ცენტრალური პარტიული სკოლა.

ორი ივნისიდან თბილისში საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით დაარსდა ცენტრალური პარტიული სკოლა საბჭოთა დაწესებულებებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშათა მოსამზადებლად. სკოლა არის განზრახული 170 კურსელისთვის, რომელთაგან 120 გამოწვეულია პროვინციებიდან, ხოლო 50 იქნება თბილისიდან. ამათ გარდა კურსებს დაესწრებიან რამოდენიმე ათეული კომ. ახალგაზრდობის კავშირის წევრი და აგრეთვე ამდენივე წითელი არმიელი. სკოლა მოთავსებულია ქალთა მეშვიდე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი წმ. ნინოს სასწავლებელი. ერმოლოვის ქ. № 13) იქვეა მოწყობილი ბინები და სასადილო პროვინციიდან ჩამოსულ კურსელებისათვის. სკოლის პირველ კურსზე, რაიც თვე ნახევარს გასტანს, ლექციებს წაიკითხავენ პარტიის საუკეთესო ძალები, ხოლო პრაქტიკულ მეცადინეობაში კურსელებს ხელმძღვანელობას გაუწევენ გამოცდილი პროპაგანდისტები.

სკოლასთან გამართული იქნება კურსელებისათვის სამკითხველო და ბიბლიოთეკა.

ვნეშტორგის გაერთიანება.

უკანასკნელ შეთანხმების ძალით გაერთიანებულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების: საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საგარეო ვაჭრობის მთავარ ორგანო - ვნეშტორგი.

ნათესი

წელს ქუთაისის მაზრაში დათესილ ადგილების რაოდენობა უდრის 50,000 დესეტინას, სენაკის მაზრაში წარსულ წელთან შედარებით ნათესი ადგილების რაოდენობა გადიდებულია 500 დესეტინით, ზუგდიდის მაზრაში გადიდებულია 15000 დესეტინით. მორაჩნის მაზრაში დათესილი მინდვრების რაოდენობა უფრო მცირეა.

მოსავალი.

ბორჩალოს მაზრაში მოსავალს კარგი პირი უჩანს. ამ მაზრაში წელს საერთოდ მოსავალი საშუალოზედ მეტი იქნება. ქართლსა და კახეთში ძლიერ კარგა მოსავალი იყო, მაგრამ უკანასკნელი გვალვა მინდვრებს აზიანებს.

საბჭოთა აზერბაიჯანში

ნავთის გატანა.

ნაოსენობის გახსნის შემდეგ მაისის 20-მდე ბაქოდან კასპიის ზღვის ნავთსადგურებში გატანილია 36,000 000 ფუთი ნავთი. კასპიის ზღვაზე ნავთის გასატან ექსპლოატაციისთვის მუშაობს 48 გემი. აპრილის განმავლობაში გატანილია 20,5 მილ. ფუთი.

მუშათა კოოპერატივები.

ბაქოში დაიწყო მუშათა კოოპერატივების ორგანიზაცია, რომლებიც საქონელს შეიძენს მხოლოდ მუშებისათვის, იმ ზედმეტი ნამუშავარის საშუალებით, რომელიც მუშებს ნატურალური ჯილდოს სახით ეძლევათ. კოოპერატივები საქონელს დაამზადებენ ამ ნატურის გაცვლა-გამოცვლის საშუალებით.

მოსავალი.

აზერბაიჯანში საერთო ჰურის მოსავალი საშუალოზე აღემატება. მინდვრებში მუშაობა ამ დღეებში დაიწყება.

საბჭოთა რუსეთში

კონფერენცია.

მაისის 26 მოსკოვში გაიხსნა „სრულიად რუსეთის კომპარტიის კონფერენცია. კონფერენციის პრეზიდიუმში აირჩიეს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი და სხვანი. კონფერენციამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ პოლიტიკის საკითხს. პირველმა სხდომამ მიიღო შემდეგი დღიური წესრიგი: 1) ეკონომიური პოლიტიკა: ა) სასურსათო გადასახადი, ბ) კოოპერაცია, გ) წვრილი მრეწველობა, დ) ფინანსები; 2) პროფესიონალურ კავშირთა მეოთხე ყრილობა, 3) ესერებისა და მენშევიკების როლი უკანასკნელად შექმნილ მომენტში. 4) კომუნისტურ ინტერნაციონალის მესამე კონგრესი, და 5) მიმდინარე საკითხები.

პროფ. კავშირთა მეოთხე ყრილობა

მაისის 24-ს დასრულდა მოსკოვში მოწვეული პროფკავშირთა მეოთხე ყრილობა, რომელმაც მრავალი საყურადღებო კითხვები გაარჩია და გამოტანა სახელმძღვანელო დადგენილებანი პროფკავშირთა მოღვაწეობის შესახებ.

ქალთა რიღლობის გადადება

ივნისის 20-სათვის განზრახული აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა სრულიად რუსეთის ყრილობა, რომელიც იწვევდა მოსკოვში რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა შორის მუშაობის კომიტეტი-გადაიდო მომავალი წლისთვის.

მოსავალი.

მთელს რუსეთის ტერიტორიაზე მოსავლის რაოდენობა საშუალოს აღემატება, ზოგს გუბერნიაში განსაკუთრებით კარგი პირი უჩანს ჯეჯილს. ბევრ ადგილას უკანასკნელ ავდრების გამო დათესილი მინდვრები ფრიად საიმედო მოლოდინს იძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლის გადასარჩენად

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა სასწრაფო ზომები მიიღო მოსავლის მავნე მწერთაგან გადასარჩენად. ტაშკენტისა და ყუბანის რაიონებში გაიგზავნა საგანგებო რაზმები კალიასა და მინდვრის თაგვთან საბრძოლველად.

თურქესტანსა და ციმბირში გაიგზავნა დიდძალი „მიშიაკი“ კალიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხ ო ლ ე რ ა.

მოსკოვში და რუსეთის ზოგიერთ ადგილებში ხოლერამ იჩინა თავი, რის საწინააღმდეგოთაც სასწრაფო ზომები იქმნა მიღებული. როსტოვში სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეებისათვის გამოცხადებულია ხოლერის სავალდებულო აცრა.

პოლონეთის ელჩი მოსკოვში.

რიგიდან მოსკოვში მიღებული რადიოს ცნობით პოლონეთის მთავრობამ მოსკოვში ელჩად დანიშნა დადოვსკი.

საზღვარ გარეთ

მენშევიკები პარიზში.

პარიზში ქართველ მენშევიკების ხელმძღვანელობით გამოდის გაზეთი „საქართველოს თავისუფლება“. გაზეთის სათავეში სდგას ნ. ჟორდანია და სხვა მენშევიკები.

საქართველოდან გაქცეულთა მდგომარეობა.

საქართველოდან გაქცეულთა მდგომარეობა სტამბოლში ტრაგიკულია, ამერიკის კომიტეტმა, რომელიც აქამდე შემწეობას უწევდა ლტოლვილთ, გამოაცხადეს, რომ ივნისის პირველიდან იგი მოუსპობს დახმარებას. მენშევიკი ლიდერები ლტოლვილებს არავითარ დახმარებას არ უწევენ, მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როდესაც მათ სულზე ექვსი ლირა დაურიგეს. მენშევიკური მინისტრები და მოხელენი ჯამაგირიდან თვეში 100 დან 250 ლირამდე იღებენ. ამიტომ ისინი არ განიცდიან გაჭირებას. ბევრი ლტოლვილი აპირებს საქართველოში დაბრუნებას, მაგრამ მათ აკავებს მენშევიკების აგიტაცია, რომელშიაც ისინი მოუთხრობენ ლტოლვილთ იმ საშინელებათა შესახებ, რაიც თითქო საქართველოში ჰხდებოდეს.

აჯანყება ირლანდიაში.

ირლანდიაში ინგლისის წინააღმდეგ აჯანყებანი არა წყდებიან. ჩრდილო ირლანდიაში არჩევნებმა ძლიერ მშფოთვარედ ჩაიარა. დუბლინში აჯანყებულებმა დასწვეს სახლი, რომლის დროსაც დაიღუპა მრავალი დიდ მნიშვნელოვანი საბუთები.

ახალი კაბინეტი ანგორაში.

მაისის 19-ს ანგორის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ახალი კაბინეტი, რომლის მთელი შემადგენლობაც კომუნისტური მიმართულებისაა. ამის გამო სტამბოლის ინგლისურ გაზეთ „ტაიმს“-ში მოთავსებულია ცნობა, რომ ანგორის ახალი ეროვნული კაბინეტი სრულიად ბოლშევიკური ხასიათისაა, რასაც ამტკიცებს იმას, რომ ქემალისტებს გადაწყვეტილი აქვთ მოსკოვთან მჭიდრო კავშირით თანამშრომლობა.

ოსმალეთის ოკუპაცია.

სტამბოლში მყოფმა მოკავშირეთა სარდლობამ გამოაქვეყნა პროკლამაცია, სადაც ნათქვამია, რომ დიდი ბრიტანიისა, საფრანგეთისა, და იტალიის ჯარებმა ოკუპაცია მოახდინეს ოსმალეთის ყველა მთავარი და მნიშვნელოვანი პორტებისა, კუნძულების და სტრატეგიული ადგილებისა, რომლებშიაც შედის:

1) სტამბოლის ნახევარ-კუნძულის აღმოსავლეთის ყველა ნაწილები, შავი ზღვის ნაპირიდან დაწყებული 7 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, არდინა სტრანია მურტეკლი ჩიფლიკ-კატიკეის ხაზზე, ყველა დასახელებულ ადგილებითურთ. 2) გალიპოლის ნახევარ-კუნძულის ყველა ნაწილები. 3) იზმიდის ნახევარ-კუნძულის ყველა ნაწილები. 4) ანატოლიის ყველა ნაწილები. ჩრდილოეთით და დასავლეთით იმ გზისა, რომელიც აერთიანებს კარამიხ-ბიხ მერალის უზან-გეისის სოფლებს.

ხსენებულ ოკუპაციით მოკავშირეებს განზრახვა აქვთ უზრუნველჰყონ საბერძნეთისათვის აქტიური დახმარების საქმე ქემალის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამით კარები ჩაუკეტონ ევროპისაკენ მიმართულ რევოლიუციონურ მოძრაობას.

ამერიკელი მუშები საბჭოთა რუსეთისადმი.

ამერიკელი მუშები თავიანთ მთავრობას ყოველმხრივ ხელს უშლიან საბჭოთა რუსეთის მტრობისათვის დახმარების აღმოჩენაში. მათ საერთო შეკრებილ ფულით შეიძინეს დიდი სტამბა, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობები და ლიტერატურა საბჭოთა რუსეთის შესახებ, იქ გავრცელებულ ყალბი ცნობების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

მ 1-VII-ე №-ში მოთავსებულ მასალისა:

1) დეკრეტი № 36 ს. ს. ს. რ. ღერბისა და დროშას დაწესების შესახებ.

2) „ № 37 სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების შესახებ.

3) „ № 38 ბინების განაწილების შესახებ

4) დადგენილება № 18 მცხოვრებთა სამკურნალო წამლების უფასოდ მიცემის შესახებ.

5) დადგენილება № 21 ამნისტიის შესახებ.

6) ბრძანება № 52 საქართველოს ყველა საავაჭრო ნავთსადგურების გარეშე ვაჭრობის კომისარიატისათვის დაქვემდებარების შესახებ.

7) ცირკულიარები, ბრძანებანი და მილიციის რაზმის რეზერვის შტატი შინ. საქმეთა სახ. კომისარიატისა გვ. 5—8.

8) ინსტრუქცია და ბრძანებამი სამხედრო-საზღვაო კომისარიატისა გვ. 9—18.

9) ცირკულიარები განათლების სახ. კომისარიატისა გვ. 18—20.

არაოფიციალური განყოფილება

10) ნატურალურ გადასახადი. (ლენინის მოხსენება) გვ. 20—26.

11) კვირიდან კვირამდე გვ. 26—27.

12) 26 მაისი ს. თალაკვაძისა გვ. 27—28.

13) რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა გვ. 28—31

ს. რ. ც. ქ. ტფილისი. სახელმწიფო სტამბა. ტირაჟი—2000.